ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეკლესია: სადიდებლად ღვთისა, საკეთილდღეოდ ერისა!

5 მარტს სრულდება 77 წელადი, რაც აღდგა საქართველოს ლიური ეკლესიის ავტოკეფაა. ეს დიდი დღესასწაულია, დგან ქართული ეკლესია მუდამ , არის და იქნება სული ქართერისა. — საქართველოს ლესია არის ის წმინდა სავანე, დაც აღიზარდა, აღიძინდა, ხეფერი იცვალა ქართველი ადამიანის სულმა. ქართული ეკლესია ის კარიბჭეა, საიდანაც ქართველმა ადამიანმა დაიწყო სულიერი ქროვნობა და ფერისცვალება,— ვითი სიონის ტაძარში 1990 ის 30 მარტს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ჭეშმარიტად. ქართული ეკლესია ასრულებდა და ასრულებს ერის გამაერთიანებლის დიდ როლს. დღეს არაფერი ისე არ გვჭირდება, როგორც ერთობა, ერთ სისხლ და ხორც შეკვრა, ერთობლივი ძალისხმევა ჩვენი მამულის გადასარჩენად.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მეხუთე საუკუნიდან იწყება. სარწმუნოებრივი მტრებით გარშემორტყმული ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე სიცოცხლის ფასად იცავდა როგორც მართლმადიდებლური რწმენის სიწმინდეს, ასევე სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც. 1811 წელს რუსეთის მეფის ალექსანდრე II ბრძანებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამ დროიდან იწყება საქართველოს ეკლესიის, ჩვენი ერის განსაცდელი. იმპერატორის ბრძანებით საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი. აიკრძალა სიონში ქართული წირვა — ლოცვა, თბილისის სასულიერო სემინარიაში ლექციებს რუსულ ენაზე კითხულობდნენ.

ღვთის დიდი წყალობითა და ლოცვა-კურთხევით 1917 წლის 12 მარტს კვლავ აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. იმდროინდელი პრესის ცნობით, ამ დღეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გაიმართა საზეიმო წირვა, რომელიც აღავლინა ეპისკოპოსმა ლეონიდემ. წირვის შემდეგ ტაძრის გალავანში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი და შესრულდა საგალობელი „მრავალჟამიერი“. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ კათალიკოს-პატრიარქად აკურთხეს თავდადებული მამულიშვილი, ისტორიკოსი, ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარი კირიონ მეორე (გიორგი საძაგლიშვილი).

მართალია, ქართული, ბერძნული და უცხოური წყაროები აღიარებენ, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მეხუთე საუკუნიდან ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულ ფაქტს საუკუნეების მანძილზე არ სცნობდა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო და ზოგიერთი სხვა მართლმადიდებელი ეკლესია. მოლაპარაკებებმა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან, რომელმაც თხუთმეტ წელიწადს გასტანა, ბოლოს და ბოლოს შედეგი გამოიღო, მსოფლიო საპატრიარქო. ცენტრმა 1990 წლის 23 იანვარს მიიღო ჩვენი ეკლესიისათვის ისტორიული დადგენილება — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეკლესიის მეთაურს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს.

ავტოკეფალიის აღდგენის დღე — საზეიმო დღეა ყველა მორწმუნე ქართველისათვის, რომელიც აანთებს სანთელს და ილოცებს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და ერთობისათვის. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ამ საზეიმო დღეს აღასრულებს სამადლობელ პარაკლისს და პანაშვიდს ავტოკეფალიის აღმდგენელთა სულების საოხად. ქართული ეკლესია შეავედრებს ქართველი ერის სიძლიერეს წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულს, რომლის ხსენებაც ემთხვევა ავტოკეფალიის აღდგენის დღეს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 46 (848)

პარასკევი, 25 მარტი, 1994 წელი

ფასი 2000 კუპონი

საქართველოს პარლამენტში

როცა ხუმრობა არ ჭრის

ღეს ერთი ღვთით ბოძებული დღის პირველი ნახევარი გახარჯეს ლამენტარებმა დავაში, ჩხუბსა და აურზაურში, რომელიც, როც სავალდებულო, აკომპანიმენტივით ახლდა კამათში გამომსვლე სიტყვებს (ერთი-ორი გამოსვლის გარდა), რაზეც სახელმწიფოს ურმა შენიშნა კიდეც: საშინელ უზნეობად მიმაჩნია იმ ხალხის ილი, თუნდაც ორი წიგნი მაინც რომ აქვთ წაკითხული.

ურც კიდეც ცეკვა, შერჩება? ასე იყო თუ ისე, წინა სხდოკამათში ჩაწერილმა დეპუტატებმა სათქმელი თქვეს. ზოგმა კოული, ზოგმაც არაკორექტული, ზოგმაც ქვეყნისთვის, ზოგმაც თვის, მაგრამ რას ვიზამთ, თუ დემოკრატიაა, ვისაც კი სათქმელი ლი აღარ ეტევა, უნდა თქვას, გამგონემ კი გაიგონოს.

ის მეორე ნახევარში ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის დარი გამოჩენამ პარლამენტარები ააჩოჩქოლა. ცხადი იყო, მისი კანტურის დასამტკიცებლად კენჭისყრა ეჭირებოდათ. არ ვიცი, ამი თუ სხვა მიზნით, ტრიბუნასთან მდგარ ქართლოს ღარიბაშვილს არ დაუშვეს კენჭი ეყარათ კანონპროექტისთვის „საქართველოს ენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკანონში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. მისი კენჭისყრა ული სამშაბათისათვის გადაიდო. ამის შემდეგ ტრიბუნა ავთან მარგიანმა დაიკავა. მან ვრცლად მიმოიხილა ვიცე-პრემიერად ყოფნის პერიოდში ჩატარებული სამუშაოები, მის დაქვემდებაში მყოფი სამინისტროების მიერ ქვეყნისთვის გაწეული ჯაფა, ხულზეც. წესს და კანონს რა ვუთხარი, თორემ ბატონ მარგიანს ში რომც არ გადაეღებინა (დარბაზში კანტი-კუნტად უსმენდნენ), არაკლი წერეთელს დავესესხები და ვიტყვი: ამ ჩვენი ცოდხვე ქვეყანასა და ხალხს ისეც არ ეტყობა, ვინ როგორ ირჯება ბა?

ლამენტართა შეკითხვების უმრავლესობას ბატონმა ავთანდილ ანმა ხუმრობით უპასუხა, ისეთი ხუმრობით, გულწრფელი სი რომ გამოიწვია დარბაზში. შეიძლება ეს მისი სტილია, ვერ ით, მაგრამ სახუმაროდ რომ მართლა არა გვაქვს საქმე, ჩვენზე ეს ბატონმა ავთანდილმა იცის.

ორც ყველა საქმეს აქვს ბოლო, შეკითხვებიც დასრულდა და დილ მარგიანის კანდიდატურას ვიცე-პრემიერის პოსტზე ეყარა არ გავიდა. რეგისტრაციამ აღნიშნა 180 დეპუტატი, 105 მხარი უჭირა, 81 წინააღმდეგი წავიდა, 5 თავი შეიკავა (რამდენიმე პარკენჭისყრაში არ მონაწილეობდა).

ორც სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, მწიფოს მეთაურს ერთი და იმავე კანდიდატურის ორჯერ წარენის უფლება აქვს. ამ შემთხვევაში რას გადაწყვეტს, ეს უკვე ის ნებაა.

ელოდოთ მომავალ სხდომას. ჩვენ კი დაწვრილებით რეპორტაჟს ის დღეებში შემოგთავაზებთ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის შესახებ

რთველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილესტრუქტურული სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიგეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის ბაშეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარტამენტი ოლოგია“ და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმარ

ჭიათურის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის შექმნის შესახებ

ართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ქალაქ ურის გამგეობის, საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეოპარტამენტის წინადადება და დაადგინა, რომ რეგიონის ტყეების -დაცვის, აღწარმოების, ერთიანი სატყეო-სამეურნეო პოლიტით განხორციელების მიზნით, ჭიათურის რაიონის ადმინისტრაფარგლებში მდებარე სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნებალანსზე არსებული ტყეებისა და საჩხერის სატყეო მეურნეობალანსზე არსებული, ჭიათურის რაიონში განლაგებული სახელტყის ფონდის ბაზაზე შეიქმნას ჭიათურის სახელმწიფო სატყეო რობა.

ნატოს დელეგაცია თბილისში

ორც ცნობილია, 23 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მირმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ხემოაწერა პროგრამას „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“. ამგვასაქართველო უკრაინისა და მოლდოვის შემდეგ მესამე ქვეყაყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომელიც ამ ინივას შეუერთდა.

უმენტის ხელმოწერის შემდეგ დაიწყო მუშაობა ორმხრივი თამლობის შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებლად. თანამშრომმთავარი მიმართულებებისა და პერსპექტივების განხილვის მიზ24 მარტს თბილისს ეწვია ნატოს ოთხკაციანი დელეგაცია, როხელმძღვანელობს ნატოში ამჟამად თავმჯდომარე ქვეყნის — თის მუდმივი წარმომადგენელი ბატონი თუგაი ოსჩენი.

რთველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ელმა მიიღო ნატოს დელეგაციის წევრები. საუბარმა საქმიან ბაში ჩაიარა.

საუბარი საგარეო საქმეთა სამინისტროში

რთველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ უკლებამ მიიღო საქართველოში რუსეთის ფედერაციის სადა სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ზემსკი. შეხვედრის მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის სახელშეკრულებო ლებრივი ბაზის შემდგომ განმტკიცებასთან დაკავშირებული სადა ისაუბრეს თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოესახებ.

რეპლიკა

უნგლების კანონი კი ასეთია...

ინათ გაზეთ „რეზონანსში“, ამ გაზეთისთვის ჩვეული გემოვდა მხატვრული გაფორმებით, სახელმწიფოს მეთაური კიპლინირთების გმირად — შერ-ხანად შერაცხეს.

, უნდა ვივარაუდოთ, რომ პუბლიკაციის ავტორი თავს მაუგის, მაგრამ თუ შედარებაზე მიდგა საქმე, სახელმწიფოს მედიალოგი ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელთან ხშირად უგებთან ბრძენი კაას ვიზიტს მაგონებს (ამ ვერსიის მხატვსრულება „რეზონანსის“ კარიკატურისტებისთვის მიმინდვია, უასხება — მკითხველთათვის).

ინდა მივმართო გაზეთ „რეზონანსს“ და მის გულშემატკივას: ძალიან სასიამოვნოა, რომ ცდილობთ, გაერკვეთ დიდი მწერლის შემოქმედების მულტიპლიკაციურ ეკრანიზაციაში მაც მსურს გაგახსენოთ: როდესაც ჯუნგლებში გაჭირვება ოქმედებას იწყებს მკაცრი კანონი საერთო შერიგების შე

როდესაც ასე გვიჭირს და ერთი სატკივარი გვაქვს, მოდით, ით ამბიციებს, უფრო ფაქიზად მოვეპყროთ ერთმანეთს და ნებთ იმავე მაუგლის სიტყვებს: „ჩვენ ერთი სისხლისანი [illegible] და მე!“

ლელა ბარათაშვილი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო „ნატოს“ დელეგაცია

გუშინ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა „ნატოს“ დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს თურქეთის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი „ნატოში“ ბატონი ტუგაი ოსჩენი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანაშემწე კლაუს სტეინკოფი, „ნატოს“ საერთაშორისო სამდივნოს პოლიტიკური განყოფილების წარმომადგენელი ბატონი აჰმედ უსუმჩუ, „ნატოს“ საერთაშორისო სამხედრო შტაბის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ფრანჩესკო ფინო.

საუბარი შეეხო საქართველოს რეგიონსა და მსოფლიოში შექმნილ პრობლემებს და „ნატოს“ როლს მათს გადაჭრაში. იმსჯელეს ამერიკის მიერ წარმოდგენილი პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პერსპექტივებზე. დელეგაციის წევრებმა სახელმწიფოს მეთაურს მიულოცეს აღნიშნულ პროგრამაში საქართველოს ჩართვა. აღნიშნეს, რომ „ნატო“ დაინტერესებულია ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებთან კავშირის დამყარებით, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობის მომზადებასა და წვრთნაში.

სტუმრებმა ხაზი გაუსვეს მათი თბილისელი პარტნიორებისა და „ნატოში“ საქართველოს წარმომადგენლის ეფექტიან მუშაობას.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, გააანალიზა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, „ნატოსა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის გზები მშვიდობის დაცვის საქმეში, აღნიშნა, რომ „ნატოს“ მჭიდრო ურთიერთობა დსთ-ს შესაბამის სტრუქტურებთან პერსპექტიულია, და რომ მშვიდობის ყველაზე მყარი გარანტია თანამეგობრობათა თანამეგობრობაა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური — საქინფორმი.

ლტოლვილები... მშობლიურ მიწაზე



ეს სიტყვები ყურს სჭრის ადამიანს. მაგრამ მრავალტანჯულ საქართველოში იგი მომხდარი ფაქტია. გუდაუთელ ექსტრემისტთა მიზეზით ასობით ათასმა აფხაზეთის მკვიდრმა ადამიანმა, სიკვდილის შიშით მიატოვა სახლ-კარი და ქონება.

პირველი ლტოლვილები თბილისში — გაგრელები — 1992 წლის ოქტომბერში გამოჩნდნენ. თითოეული მათგანი იმედოვნებდა, მალე დაუბრუნდებოდა საკუთარ კერას, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ცოტა ხნის წინათ დოვლათიანად და მდიდრულ პირობებში მცხოვრები ადამიანი ახლა ახლობლებისა და შორეული ნათესავ-ნაცნობებთან არის შეკედლებული, ცხოვრობს სასტუმროებსა და საზოგადოებრივ შენობებში. ბევრი ოჯახი მათთვის გამოყოფილ თბილისის ვაგზალში დაბინავდა.

და ცხოვრობენ მშობლიურ მიწაზე ლტოლვილებად ქცეული ადამიანები იმედით, რომ მალე დაუბრუნდებიან მშობლიურ მხარეს.

სურათებზე: ასე ცხოვრობენ აფხაზეთიდან ლტოლვილთა ოჯახები მათთვის გამოყოფილ თბილისის ვაგზლის შენობებში.

გიორგი ცაგარლის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წესრიგი და კანონიერება თვითმიზანი არ არის...

„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეთ ბაბილაშვილი.

დაიბადა 1942 წელს საგარეჯოში, იურისტის ოჯახში. 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ასპირანტურა. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. 1977 წლიდან პროკურატურის ორგანოებშია: იყო საგარეჯოს რაიონის პროკურორი, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის პირველი მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე — განყოფილების უფროსი, ქუთაისის პროკურორი. 1991-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, — მოსამართლედ. იყო ამავე სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი. 1992 წლის დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილედ. ამჟამად ასრულებს გენერალური პროკურორის მოვალეობას.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

— ბატონო ჯამლეთ, რას წარმოადგენს დღევანდელი პროკურატურა, რა პრობლემებია მის წინაშე?

— საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის გარდამავალმა პერიოდმა თავისი კვალი პროკურატურის ორგანოებსაც დაამჩნია. პროკურატურის მუშაობის ადრინდელი სტილი და მეთოდი თითქმის შეიცვალა, ახალი კი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. ერთი სიტყვით, პროკურატურა გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო ორგანოა, რომელიც თავის ადგილს იმკვიდრებს სახელმწიფო ორგანოთა დღევანდელ სისტემაში. იგი კვლავ რჩება, როგორც კანონიერების შესრულებაზე ზედამხედველი უმთავრესი ორგანო, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კანონის სრული და ერთგვაროვანი შესრულება როგორც ცალკეული მოქალაქეების, ისე შესაბამისი თანამდებობის პირებისა და უწყებების მიერ. პროკურატურას აქვს არც ისე დიდი, მაგრამ საკმაოდ მობილური და კვალიფიციური საგამოძიებო აპარატი, რითაც თავისი წვლილი შეაქვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებს, ისინი საკმაოდ ბევრია. ამდენი უკანონობით შეწუხებული ხალხი ხელისუფლებისაგან მოითის შველას. ყველაზე მწვავე პრობლემა მაინც დამნაშავეობაა. სწორედ ამ მიმართებით უნდა გამოიყენონ დღეს პროკურატურის ორგანოებმა, ჩემი აზრით, მთელი თავიანთი პროფესიონალიზმი და ძალისხმევა. მართალია, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოები არიან, მაგრამ პროკურატურასაც შეუძლია, ვალდებულიც არის, ამ მხრივ, თქვას, და ამბობს კიდეც, თავისი წონადი სიტყვა.

ამის დასტურია ის ასობით ურთულესი სისხლის სამართლის საქმე, რომლებითაც ჩვენმა საგამოძიებო დარგის მუშაკებმა არაერთი საშიში დამნაშავე: მკვლელები, ტერორისტები, ბანდიტები და სხვადასხვა ჯურის მოძალადენი ამხილეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. პროკურორების დასტურით აპატიმრებენ საშიშ დამნაშავეებს, ჩემი კოლეგები სასამართლოებში, იცავენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ინტერესებს, აკონტროლებენ დამნაშავეთა კანონიერ დასჯას, ახორციელებენ ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდაზე, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების და მოკვლევის კანონიერებას და სხვ. სისტემატურად ვაანალიზებთ დამნაშავეობის მდგომარეობას ცენტრსა და პერიფერიებში, ვამუშავებთ კვალიფიციურ რეკომენდაციებს.

აქტუალური ინტერვიუ

— მოქმედი კანონები მიღებულია ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ხომ არ გიშლით ეს ხელს მუშაობაში? იქნებ ამის ბრალიცაა, რომ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტიანი არ არის?

— ჩვენს ცხოვრებაში უკვე ფეხს იკიდებენ სრულიად ახალი სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება სჭირდებათ.

მაგრამ, რადგან ჩვენი საუბარი მაინც დამნაშავეობას ეხება, ალბათ, უნდა ითქვას, რომ მოქმედ კანონმდებლობაში ამ მიმართებით, ჩემი აზრით, რამდენიმე ძირითადი თავისებურება შეინიშნება: თუ ზოგ შემთხვევაში ცალკეული ნორმა აშკარად მოძველებულია და ანაქრონიზმად გვევლინება (მაგალითად, სამეურნეო დანაშაულები), სხვა შემთხვევებში, ბევრი მათგანი მართალია, დროის მოთხოვნებს შეესაბამება, მაგრამ ჯერ არ არსებობს ამ კანონების შესრულების რეალური პირობები.

ეჭვგარეშეა, დროთა ვითარებაში ყოველივე უნდა გასწორდეს. ნორმალური საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ბუნებრივია, გაზრდის სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის ეფექტიანობას წესრიგის დაცვის საქმეში. მომავალი კანონშემოქმედების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენი ცხოვრების რეალობა, ნორმების ადრესატთა — რესპუბლიკის მოქალაქეთა მართლშეგნების დონე, ჩვენი ეროვნული ხასიათი და სხვა ინდივიდუალობა...

არის სხვა მომენტებიც. მაგალითად, მოქმედ კანონმდებლობაში რატომღაც შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა კანონი დამნაშავეს უფრო მეტად იცავს, ვიდრე დანაშაულის მსხვერპლის — დაზარალებულის ინტერესებს. პირიქით კი უნდა იყოს.

მით უმეტეს, დღეს, როცა დანაშაულისაგან დაზარალებული პირი პრაქტიკულად ტერორიზებულია, დამნაშავისა თუ მისი ახლობლებისაგან დიდ დაწოლას განიცდის და კანონმდებლობაში არ არის მექანიზმი ამ ზემოქმედებისაგან მის დასაცავად. იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულის მოწმეზეც. სწორედ ეს გარემოებაც არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იხსნება, ან თუ გაიხსნა, სასამართლომდე ვეღარ მოდის დაზარალებულთა თუ მოწმეთა მიერ პირველადი ჩვენების გადათქმის გამო. ეს გასაგებიც არის, რადგან ადამიანებს დამნაშავეებისა ეშინიათ და ვერც სახელმწიფო იცავს მათ. ვფიქრობ, დაუყოვნებლივ უნდა დაიდგას საკანონმდებლო [illegible]ები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

— თქვენი აზრით, როგორია თანამედროვე დამნაშავეობის თავისებურებანი. რა ცვლილებებია მასში?

— აშკარაა, რომ დამნაშავეობამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. გაჩნდნენ ორგანიზებული ჯგუფები, რომელთა ცხოვრების წესიც დანაშაულებრივი გზით ცხოვრება გახდა. ისინი პოულობენ მხარდამჭერებს სახელმწიფო სტრუქტურებში, ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერნი არიან და აქვთ შესაბამისი კავშირები, აკონტროლებენ გარკვეულ ტერიტორიებსა თუ ცალკეული სახის საქონლით ვაჭრობას. დამნაშავეთა ბევრი ასეთი ჯგუფი დღეს ლეგალიზებულია, რაღაც სტატუსით ზოგი მათგანი, როგორც ახლა მოდაშია, მიტმასნილია ცალკეულ ოფიციალურ სტრუქტურებს, რომელთა შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში დაწვრილებითი ინფორმაცია არსებობს. მათი იზოლირების პროცესი, როგორც საზოგადოებამ იცის, უკვე დაწყებულია და იმედია, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

მეორე თავისებურება ის არის, რომ რეგისტრირებული დანაშაულებიდან ყველაზე მეტად დომინირებს ძალმომრეობით დანაშაულთა კატეგორია: განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი.

განზრახ მკვლელობა ვახსენეთ. ამ დანაშაულთა მსგავსი ზრდა, ალბათ, საქართველოს კრიმინალურ ისტორიას არ ახსოვს. რესპუბლიკაში ზოგჯერ დღეში ათამდე ასეთი დანაშაული ხდება, გახშირდა უმოტივო მკვლელობებიც.

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

აფხაზი სეპარატისტები გააქტიურდნენ

გუშინ დილით აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა საარტილერიო იერიში მიიტანეს ლათას ხეობაზე და რამდენიმე საათის განმავლობაში ინტენსიურად ბომბავდნენ ქართულ სოფლებს — ხუტიას, საკენს და გენწვიშს.

ეს ინფორმაცია საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს მიაწოდა თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ანალიტიკური ჯგუფის უფროსმა თენგიზ გოგიტიშვილმა.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთში ხდება დამატებითი ტექნიკის და ცოცხალი ძალის შეყვანა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გუდაუთის ხელისუფალთა განზრახვას ჩიხში მოაქციონ სამშვიდობო მოლაპარაკება და განაგრძონ ქართველთა და აფხაზთა გენოციდი.

●

გამოძიებით დადგინდა

თბილისი. დამთავრდა გამოძიება 1993 წლის 17 ივნისს დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის ტყეში ტაჯიკეთის რესპუბლიკის ლენინაბადის ავიასაწარმოოს სამგზავრო თვითმფრინავის ან-28-ის კატასტროფის საქმეზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული სატვირთო თვითმფრინავი ლენინაბადის ავიასაწარმოოს მიერ მთავარ კონსტრუქტორთან შეთანხმებისა და მგზავრთა უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის გარეშე, მოქმედი წესების დარღვევით, გადაკეთებული იყო სამგზავრო თვითმფრინავად. ამასთანავე, თვითმფრინავში, რომელიც 17 ივნისს ასრულებდა კომერციულ რეისს ბათუმი-ბაქო-ჩიმკენტი, 20 მგზავრის ნაცვლად, იმყოფებოდა [illegible] მგზავრი, რაც ბათუმის აეროპორტის გადაზიდვების სამსახურის თანამშრომლების უკონტროლობის შედეგი იყო.

თვითმფრინავის კატასტროფის გარემოებებისა და მიზეზების დამდგენმა კომისიამ, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულმა სასამართლო-საავიაციო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სამგზავრო თვითმფრინავმა ან-28-მა კატასტროფა განიცადა შემხვედრ ნაკადთან ზეკრიტიკულ კუთხეებზე გასვლისას, შემდეგ კი ინტენსიური [illegible] პირობებში ფრენის დროს ციცაბო შტოპორში ჩავარდნის შედეგად.

●

მოიპარეს ჰუმანური დახმარება

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, სადგურ სამტრედიაში ბათუმიდან შემოვიდა სატვირთო მატარებელი 20 ტონიან კონტეინერებში ჰუმანური დახმარებით თბილისისათვის. სამტრედიაში მიღება-ჩაბარების დროს აღმოჩნდა, რომ ამოჭრილი იყო სამი კონტეინერის სახურავი და ჰუმანურ დახმარებას აკლდა 7 ყუთი საქონლის ხორცის კონსერვი, 10 ყუთი ზეითუნის ზეთი.

მიმდინარეობს გამოძიება.

წესრიგი და კანონიერება თვითმიზანი არ არის...

(დასასრული)

დამნაშავეთა სამყარო არასოდეს ყოფილა ისე შეიარაღებული, როგორც დღეს. რა სახის ცეცხლსასროლი იარაღი არ უპოვეთ დამნაშავეებს, აღარაფერს ვამბობთ კავშირგაბმულობის საშუალებებზე, ღამის ხედვის ხელსაწყოებსა და სხვ. და რაც მთავარია, დამნაშავეები ცეცხლსასროლ იარაღს ძალზე ადვილად, უშიშრად და მოურიდებლად იყენებენ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ართულებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას და დამატებითი ოპერატიული, ტექნიკური და სამართლებრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.

— ბატონო ჯამლეთ, რა აზრისა ხართ სიკვდილით დასჯის შესახებ, რას იტყვით ლინჩის წესზე?

— პიროვნულად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, როგორც იურისტი და პროკურორი, ვგმობ გამძვინვარებულ დამნაშავეთა სამყაროს, რომელიც გაუგონარი სისასტიკით, ცინიზმითა და თავხედობით სჩადის დანაშაულს. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებამ რაღაცით უნდა დაიცვას თავი, მათ შორის სიკვდილით დასჯის მეშვეობითაც. რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, რადგან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ცნობილია, მარტო სასჯელის გამკაცრებით არ ამოიწურება. პრობლემა კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს, რომელთა შორის ერთ-ერთი მკაცრი საშუალება — სიკვდილით დასჯაც უნდა იყოს გათვალისწინებული. მხოლოდ ამ პოზიციებიდან ვთვლი, რომ სასჯელის ეს უკიდურესი ღონისძიება დღევანდელ საქართველოში ჯერ კიდევ საჭიროა. ამას თვითონ ცხოვრებაც ადასტურებს. მხედველობაში მაქვს ამ ბოლო წლებში ჩვენთან შექმნილი მდგომარეობა, ხალხში ხმა გავრცელდა, სიკვდილით დასჯა აღარ არსებობსო, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაქცია — დამნაშავეთა თვითგასამართლება ჩქოლვით, რაც არ ეკადრება ისეთი სამართლებრივი ტრადიციების ერს, როგორიც ჩვენ ვართ. სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი, ჩვენთან დღეს არავის გაუუქმებია, პირიქით, საქართველოს პარლამენტმა შარშან სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან ორი ახალი და მძიმე დანაშაულებისათვის (მუხლი 65¹ — გენოციდი და მუხლი 66¹ დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებებში) სასჯელის სხვა ღონისძიებებთან ერთად დახვრეტაც გაითვალისწინა. დამნაშავეთა სამყარომ უნდა იცოდეს, რომ საზოგადოებას მათი ხელყოფისაგან თავის დასაცავად ისეთი სასტიკი ინსტრუმენტი აქვს, როგორიც სიკვდილით დასჯაა.

— როცა ვითარება მეტისმეტად რთულია და ხდება უამრავი სასტიკი და ულმობელი დანაშაული, როგორ წარმართავს საქმეს საგამოძიებო აპარატი?

— რესპუბლიკის საგამოძიებო აპარატი მთელი დატვირთვით მუშაობს. ფრიად სერიოზულ, მათ შორის, საზოგადოებრივი რეზონანსის საქმეებსაც, იძიებენ პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გამომძიებლები: პრეზიდენტყოფილის მომხრეთა დანაშაულობანი დასავლეთ საქართველოში, აფხაზ სეპარატისტთა მიერ ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეროვნული წმენდა, დანაშაულებრივი დარღვევები ფულად-საკრედიტო სისტემაში, ძმები ტატიშვილების, სვირის საძმოს, გურიასა და ქვემო ქართლში მოქმედი ბანდების დანაშაულობანი და სხვ. აღარაფერს ვამბობთ ტერორიზმის, განზრახ მკვლელობების, ანგარებით ადამიანთა გატაცების, ყაჩაღობისა და სხვა მძიმე დანაშაულთა მრავალრიცხოვან საქმეებზე.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის საგამოძიებო აპარატის მუშაობა ჯერ კიდევ ნაკლებ ეფექტიანია. მომხდარ მძიმე დანაშაულთა თითქმის ნახევარზე მეტი კვლავ გაუხსნელი რჩება, რაც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის იმ ფუძემდებლურ პრინციპზე, რასაც ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გარდაუვალობა ჰქვია. დამნაშავენი დაუსჯელნი რომ რჩებიან, ეს გარემოება ახალ იმპულსს ანიჭებს, როგორც დანაშაულის რეციდივს, ისე ახალ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენას საერთოდ.

მართალია, ამ საკითხში პასუხისმგებლობის დიდი წილი სამძებრო-ოპერატიულ სამსახურებს ეკისრებათ, მაგრამ გამოძიებასაც აქვს ამოუწურავი რეზერვები. ხშირია საქმის გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურების, უხარისხოდ გამოძიების შემთხვევები და სხვა, რაც მოქალაქეთა კანონიერ პრეტენზიებსა და უკმაყოფილებას იწვევს და ამ მიმართებით კიდევ უფრო მეტ საპროკურორო კონტროლს საჭიროებს. თუმცა, ისე როგორც ყველას, საგამოძიებო სამსახურსაც უამრავი პრობლემა აქვს, რაც თავისთავად ცალკე განსჯის თემაა.

— შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ხომ არ იქნებოდა საგამოძიებო აპარატის ცალკე შექმნა, უფრო სწორად ერთიანი საგამოძიებო ორგანოს ჩამოყალიბება, თორემ რა გამოდის: დღეს გამოძიებას ცალ-ცალკე აწარმოებენ პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროება...

— მოსაზრება ერთიანი საგამოძიებო აპარატის შექმნის შესახებ ახალი არ არის. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში იყო მასზე მსჯელობა, მაგრამ რატომღაც პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა. ამჟამად, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც შეეცადნენ საგამოძიებო აპარატების რეფორმის განხორციელებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც თავი შეიკავეს. თუ არ ვცდები, მხოლოდ ლიტვაში უნდა იყოს ცალკე საგამოძიებო კომიტეტი.

საგამოძიებო აპარატის ცალკე შექმნის მომხრეთა ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე ორგანო იძიებდეს კიდეც და მასზე ზედამხედველიც (მხედველობაში აქვთ პროკურატურა) იყოს. ამ არგუმენტს, ალბათ, აქვს არსებობის საფუძველი. ამიტომაც ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა, მაგალითად, რუსეთი, იმ გზით წავიდა, რომ ბრალდებულს მისცა უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის სანქცია მის დაპატიმრებაზე, ისე როგორც დადგენილება საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ, თუმცა, ოპონენტები ამ საკანონმდებლო ნოველასაც საკმაოდ ბევრი ჰყავს.

ჩვენ რა გზით წავალთ, ამას სასამართლო რეფორმა გვაჩვენებს. ისე კი, საგამოძიებო აპარატის ცალკე ორგანოდ ჩამოყალიბება პანაცეა არ არის. საზღვარგარეთის არაერთი მოწინავე ქვეყანა შეიძლება დავასახელოთ, სადაც წინასწარი გამოძიების უფლებებით უფრო მეტი ორგანოა აღჭურვილი, ვიდრე ჩვენთან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამდენადაც ეს ჩემთვის ცნობილია, გამოძიებას აწარმოებს ხუთზე მეტი ორგანო: გამოძიების ფედერალური ბიურო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გადასახადის ამკრეფი უწყება, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, საბაჟო და სხვ.

ცნობილ სპეციალისტთა აზრით მთავარი ის კი არ არის, რომელ უწყებაშია გამოძიება, არამედ როგორ ასრულებს იგი თავის დანიშნულებას სამართალწარმოების სისტემაში.

— როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, მიმდინარეობს პრეზიდენტყოფილის მომხრეთა საქმეების გამოძიება. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან მოხდეს ანგარიშსწორება, რამდენად რეალური იქნება კანონის დაცვა?

— თუ ძალიან კატეგორიული არ ვიქნები, ვიტყვი, რომ ასეთი პრეცედენტი გამორიცხულია. აღნიშნულის შესახებ არაერთხელ განაცხადეს ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებმა, რაც კონკრეტული ქმედებებითაც დადასტურდა. ასობით პიროვნება შემოვირიგეთ, რომლებმაც ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი და მათ მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ.

რა თქმა უნდა, შეღავათები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ძმათამკვლელი სამოქალაქო ომისა და ეროვნული გათიშულობის სულისჩამდგმელნი იყვნენ და უმძიმესი ცოდვები აწევთ. ესენი არიან ყოფილი უზენაესი საბჭოს ცალკეული დეპუტატები და ყოფილი რეჟიმის მაღალი თანამდებობის პირები: მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის ზოგიერთი წევრი, პრეფექტები, სამხედრო დაჯგუფებათა ხელმძღვანელები და ა. შ., რომელთა მიმართაც არსებობს დაპატიმრების სანქციები. ნაწილი უკვე იზოლირებულია, ხოლო ნაწილსაც შინაგან და უშიშროების სამინისტროების ორგანოები ეძებენ, როგორც მძიმე დანაშაულთა ჩამდენთ. ბრალდება მათ მიმართ კრიმინალური ხასიათისაა და არანაირი კავშირი არა აქვს პოლიტიკურ მოტივებთან.

— საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ რესპუბლიკის ძალისმიერმა სამინისტროებმა ამ ბოლო ხანებში დიდი ოპერაციები წამოიწყეს დამნაშავეთა ბანდიტური ჯგუფების წინააღმდეგ, მასობრივად ჩხრეკენ ბინებს, აპატიმრებენ ეჭვმიტანილებს და სხვა. ხომ არ არსებობს კანონის მოთხოვნების უგულებელყოფის საშიშროება?

— როცა ძალისმიერი სამინისტროები საამისო ოპერაციისათვის ემზადებიან ხოლმე, მათ აბსოლუტური ინფორმაცია აქვთ დამნაშავეთა, მათი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების, შეიარაღების, ნარკოტიკული ნივთიერებების სამალავების, დამნაშავეთა შორის მყოფი ძმობილებისა და სხვათა შესახებ, რაზედაც დაწვრილებით საუბარი, გასაგები მიზეზების გამო, აუცილებელი არ არის. ასეთი ოპერაციები როგორც წესი, თანხმდება პროკურატურასთან, ჩვენ კი ვამოწმებთ სარეალიზაციო გეგმის კანონიერებას.

აქტუალური ინტერვიუ

ოპერაციის პროცესში მონაწილეობენ შესაბამისი გამომძიებლებიც, რომლებიც ყველაფერს აფიქსირებენ კანონის შესაბამისად და უზრუნველყოფენ დაკავების, ჩხრეკისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების ჩამორთმევის პროცესუალურ ასპექტებს. ერთი სიტყვით, შექმნილია გარკვეული სისტემა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვა. საერთოდ კი, ამგვარი ოპერაციები ჩვენს პრაქტიკაში ახალია, მათი აუცილებლობა დროის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი და პროკურატურაც თავის მხრივ, ცდას არ აკლებს, რომ ეს დამაიმედებელი წამოწყება კანონიერების ფარგლებში მიმდინარეობდეს.

— თქვენ სასამართლო რეფორმა ახსენეთ, როგორ გესახებათ იგი, რამდენად შეეხება პროკურატურას?

— სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური ბრძანებულებით შექმნილია შესაბამისი კომისია სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე მეც გახლავართ. სასამართლო რეფორმა აუცილებელია და იგი განხორციელდება როგორც კი რესპუბლიკაში ვითარება სტაბილური გახდება, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება რეალურად გაუწევს კონტროლს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად უნდა მოხდეს პროკურატურის ორგანოების რეფორმაც, ოღონდ თანდათანობით — ეტაპობრივად. აღნიშნულთან დაკავშირებით ახლა სხვადასხვა აზრი არსებობს, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც, არის ცალკეული, მოდას აყოლილი უკიდურესობანიც, რომ პროკურატურა, როგორც სახელმწიფო ორგანო, საერთოდ გაუქმდეს და მისი ფუნქციები სხვადასხვა ორგანოებმა შეითავსონ. თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ამას ცხოვრება გვიჩვენებს.

რატომღაც მგონია, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევს თავისი მოწოდებით სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი სამართლებრივად ისეთი აკადემიური და ცენტრალიზებული ორგანოს არსებობა, როგორიც პროკურატურაა. ამ ძალებმა თავის დროზე საკმაოდ დიდი შრომა დახარჯეს, რათა დაეკნინებინათ ისეთი ძალისმიერი უწყებები, როგორიც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები იყო, და ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. შედეგად რაც მივიღეთ, ყველასათვის ნათელია.

— როცა ადამიანები ურთიერთობას ძალიან ხშირად მხოლოდ იარაღით არკვევენ, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ კანონების დაცვაზე მსჯელობა. ხომ არ არის ეს სამართლებრივი ნიჰილიზმი?

— ალბათ, გარკვეულწილად არის, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსგავს და უფრო მძიმე მდგომარეობაში თავისუფლების გზით მიმავალი სხვა ქვეყნებიც ყოფილან და ღირსეულად დაუღწევიათ თავი კრიზისისთვის. როგორც ჩანს, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ხარკს საზოგადოება მძიმე კრიმინოგენური ვითარებითაც იხდის. რა სირთულეებიც უნდა იყოს, უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ისეთი ცივილიზებული ფორმა, როგორიც ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობაა. პირველ რიგში აქ თავისი სიტყვა სახელმწიფომ და მისმა ორგანოებმა უნდა თქვან. მოქალაქეებს უნდა განვუმტკიცოთ კანონის რწმენა, ხოლო იმათ მიმართ, ვინც კანონს ჯიუტად ეურჩება, ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელონ თვით იძულებამდეც კი, რაც პრაქტიკულად უფრო მეტი ინტენსიურობითაც კი კეთდება.

— სამართალწარმოების ერთ-ერთი და საბოლოო დამაგვირგვინებელი ეტაპი სასჯელის აღსრულებაა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში?

— ვითარება აქაც დამაფიქრებელია. ის სისტემა, რასაც საბჭოთა პენიტენციალური პოლიტიკა ემყარებოდა: პატიმრების როგორც იაფი მუშახელის გამოყენება, შრომით მათი აღზრდა-გამოსწორება და სხვა, დაიშალა და პრაქტიკულად აღარ არსებობს. ახალი კონცეფცია, შესაბამისი ინსტიტუტებითა და მატერიალური ბაზით, ჩამოყალიბების პროცესშია. მანამდე კი პატიმრებს, უფრო ზუსტად, მსჯავრდებულებს, სჭირდებათ რჩენა და დასაქმება, რაც დღევანდელ პირობებში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. არადა, თუ სახელმწიფომ პატიმარს ვერ მოუარა და შესაბამისად ვერ უზრუნველყო სასჯელის აღსრულების პროცედურა, მაშინ დამნაშავეობის წინააღმდეგ მთელი მისი დასჯითი პოლიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მიმაჩნია, თუ წესრიგი გვინდა დავამყაროთ, როგორც იტყვიან, ყველაფერი უნდა მოვიკლოთ და პატიმარი შევინახოთ, რათა უზრუნველვყოთ იმ ციკლის უწყვეტობა, რასაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, გასამართლება და სასჯელის მოხდა ჰქვია. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის ეს წინა ორი საფეხური წმინდა რიტუალურ ხასიათს შეიძენს, რადგან სისხლის სამართლის სასჯელი ვერ შეასრულებს იმ დანიშნულებას, რაც მას სისხლის სამართლის კანონით აკისრია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— როგორ გესახებათ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივები, გვაძლევს ეს ოპტიმიზმის საფუძველს?

— დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ჩვენი დღევანდელი ამოცანაა კრიმინოგენური სიტუაციის კონტროლქვეშ დაქვემდებარება, რისი უნარიც ჩვენს ძალისმიერ სამინისტროებს ნამდვილად აქვთ: როგორც კი ტერორიზმსა და ბანდიტიზმს ბოლო მოეღება, დამნაშავეობის ზრდის მრუდი მაშინვე შემცირებისაკენ დაიწევს, ასე რომ, საამისოდ ოპტიმიზმის რეალური საფუძველი არსებობს. რაც მთავარია, ჩვენს მხარეზეა საზოგადოებრივი აზრი, ხალხის განწყობა და მისწრაფება, რომ ბოლო მოვუღოთ ძალადობას, ძარცვა-გლეჯასა და განუკითხაობას, ადამიანებს მივცეთ ნორმალური შრომისა და ცხოვრების საშუალება.

— ბატონო ჯამლეთ, დღეს დიდი ხმაური და აჟიოტაჟია საბანკო კრედიტების ირგვლივ, როგორია თქვენი პოზიცია, რას აკეთებს რესპუბლიკის პროკურატურა ამ მიმართებით?

— სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით დავალებული გვაქვს მთელი იმ სამუშაოს კოორდინაცია, რასაც კრედიტების გაცემის კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ასრულებენ რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები. ეს მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად სრულდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი მეტად რთული და შრომატევადია. კონდიციამდე მისულ მასალებზე აღძრულია ოცამდე სისხლის სამართლის საქმე. დაპატიმრებული არიან ეჭვმიტანილი პირები, მიმდინარეობს გამოძიება. საერთოდ, განწყობა ასეთია, რომ შემოწმების ძირითადი ამოცანაა პირველ რიგში სახელმწიფოს დაუბრუნდეს გატანილი კრედიტები, იმ პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით დაფარავენ ვალს, გაუწევენ კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს. დღეისათვის სახელმწიფოს უკვე დაუბრუნდა ათობით მილიარდი კუპონი. ეს სამუშაოები გრძელდება. მდგომარეობას ის ართულებს, რომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ მიღებული კრედიტებიდან ე. წ. „გაცოცხლებული" ფულის კონვერტაციით აღებული ვალუტა (მილიონებზეა ლაპარაკი) საზღვარგარეთის ბანკებში შეიტანა. თუ ისინი ნებაყოფლობით არ ჩააბარებენ, მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი ზომები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების ჩამოსართმევად.

— ხშირად ხდება აფეთქება, დივერსია თუ ტერორისტული აქტები, რომელთა შესახებაც სხვადასხვა მოსაზრებები ქვეყნდება პრესაში. რას გვეტყოდით მათ შესახებ და რას აკეთებს პროკურატურა ამ მიმართებით?

— ყველა ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სახელმწიფო დანაშაულია. მათი განსაკუთრებით საშიში ხასიათი განაპირობებს იმას, რომ ბრძოლა მათ წინააღმდეგ კანონის თანახმად სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს აქვთ დავალებული. პროკურატურა ამ პრობლემებს ძირითადად კანონიერებაზე ზედამხედველობის თვალსაზრისით უკავშირდება.

აფეთქების ბოლოდროინდელ ფაქტებზე ვიცი, რომ ინტენსიური მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროში და, ალბათ, შედეგებიც იქნება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კრიმინალური სამყაროს მიმართ შეტევის გაძლიერებასთან ერთად გამორიცხული არ იქნება უკურეაქციაც, რაც მსგავსი აქციებით შეიძლება გამოიხატოს. აიღეთ ზოგიერთი სხვა ფაქტორიც: როგორ ფიქრობთ, უსაფრთხოების თვალსაზრისით სამოქალაქო ომთან ერთად ყველაფერი დამთავრდა? რამდენი განაწყენებული ადამიანია შურისძიებით შეპყრობილი პოლიტიკური გაკოტრებისა თუ სხვა ქვენაგრძნობების გამო; ომის ვითარება აფხაზეთში და რესპუბლიკის შიდა საზღვრების დაუცველობა ჩვენგან დიდ სიფხიზლესა და დაკვირვებას მოითხოვს, ანდა მაფიური კლანების ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის. ასე რომ, შესაბამის ორგანოებს ბევრი საფიქრალი აქვთ. მანამდე კი, სანამ დანაშაული არ გახსნილა და კონკრეტული დამნაშავე არ დადგენილა, ძნელია და, ალბათ, უხერხულიც, კატეგორიულად რაიმეს მტკიცება.

დამნაშავეობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას ბევრი ღირსეული ადამიანი შეეწირა. მათ შორის ბევრი სამართალდამცავი ორგანოს მუშაკიც. სამწუხაროდ, მათი მკვლელობის ზოგიერთი საქმე დღესაც გაუხსნელია. განსაკუთრებით გამოვყოფდი თბილისის პროკურორის ვერაგული მკვლელობის საქმეს, რომლის გასახსნელადაც გრძელდება სერიოზული მუშაობა, რომლის შედეგებიც იმედის მომცემია. ამ საქმის გახსნა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ღირსების საქმედ მიგვაჩნია.

— მატერიალური სტიმულები პროკურატურის მუშაკთა ინტერესს უძლიერებს. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა?

— ამ მხრივ ჩვენთანაც უმძიმესი ვითარებაა. ყველაფერი დღეს პრაქტიკულად ენთუზიაზმსა და პროფესიისადმი ერთგულებაზეა დამყარებული. ბევრმა ვერ გაუძლო და სამუშაოდ სხვა სტრუქტურებში გადავიდა, ზოგი ახლაც მიდის. დიდ უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს, რომ დღეს თითქმის ყველას უჭირს და ამიტომ ითმენენ უკეთესი მომავლის იმედით.

პროკურატურას დახმარება სჭირდება, რომ რაღაცნაირად მაინც შევძლოთ მუშაობა. ეს ეხება ტრანსპორტს, საწვავს, ორგტექნიკას და ა. შ. არა გვაქვს საშუალება შევაკეროთ ახალი ფორმის ტანსაცმელი და უამრავი სხვა, რაზედაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვითხოვთ მხოლოდ იმ აუცილებელ მინიმუმს, რაც საჭიროა დაწესებულების ნორმალური სახისა და კადრების კვალიფიციური ბირთვის შენარჩუნებისათვის.

— ბატონო ჯამლეთ, თქვენი საუბარი ოპტიმიზმით განაწყობს მკითხველს, რომელმაც ამ ბოლო წლებში მრავალი სიმწარე და ტკივილი იგემა. კიდევ რას დაამატებდით?

— პროკურატურის ჭეშმარიტი მუშაკი ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდება და უნდა ეკიდებოდეს უკანონობისაგან დაჩაგრულ ადამიანს. პროფესიონალისათვის იმაზე დამამცირებელი და დამთრგუნველი არაფერია, როცა ადამიანს უჭირს და სხვადასხვა გარემოებათა გამო არ ხერხდება დახმარების აღმოჩენა, მდგომარეობის შემსუბუქება. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში არის ხოლმე. ალბათ, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ჩამოყალიბდება და იზეიმებს გონიერებაზე დამყარებული წესრიგი და კანონიერება, რაც, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ არის. ეს საშუალებაა, რათა გზა გაეხსნას აღმშენებლობით შრომას, საქართველოს ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას. ჩვენს ხალხს ვუსურვებ, ეს დრო მალე დასდგომოდეს.

ესაუბრა
დავით ბიწაძე.

ოთხი კანონი, ანუ სტაბილიზაციისა და განვითარების ერთადერთი გზა

დღეს სამართლიანად გვსაყვედურობენ ჩვენ, ეკონომისტებს, იმის გამო, რომ არაფერს, ან ვერაფერს ვამბობთ საერთო გაჭირვებაზე, იმაზე თუ რატომ ნადგურდება ჩვენი შრომის მონაპოვარი, განსაკუთრებით კი ეკონომიკა. და, რაც მთავარია, რა და როგორ უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ჩემს აზრს მოკლედ მოგახსენებთ სათაურში გამოტანილი ოთხი კანონის შესახებ, რომლებიც, განსაზღვრავენ საზოგადოების არსებობის იერსახეს და მისი განვითარების პერსპექტივებს. ესენი მკაცრად მოქმედი ობიექტური ეკონომიკური კანონებია და, ბუნების კანონების მსგავსად, არსებობენ და მოქმედებენ ჩვენი და ყველა პოპულისტის ნებისაგან დამოუკიდებლად.

პირველი კანონი. ეს არის საწარმოო ძალთა ხასიათისადმი (შრომის იარაღები, შრომის საგნები, სამუშაო ძალა) წარმოებით ურთიერთობათა (საკუთრება, განაწილების წესი, შრომით კოლექტივებს შორის კავშირურთიერთობა) შესაბამისობის კანონი. როცა ასეთი შესაბამისობა ირღვევა, დგება მოცემული წყობილების ახლით შეცვლის საკითხი. ასე იყო უხსოვარი დროიდან, ასეა ახლაც. ამ შემთხვევაში, მთავარია საკუთრება, ის, თუ ვინ ფლობს, განკარგავს და გამოიყენებს წარმოების საშუალებებს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მიწას.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, რესპუბლიკის პარლამენტმა ნათლად უნდა გაარკვიოს და განსაზღვროს საკუთრების ბედი. ვისია იგი? პირადად მე სახელმწიფო საკუთრებას, მის განვითარებასა და გამრავლებას ვუჭერ მხარს. კერძო საკუთრება ისეთი ისტორიული ფორმაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოშიც კი ძალას კარგავს. სამაგიეროდ, სახელმწიფო საკუთრება მრავლდება და ვითარდება. მაგალითად, დღევანდელ საფრანგეთში მასზე მოდის 52 პროცენტი (!).

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს

მეორე კანონი. ეს არის მოხმარების საგნებთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის კანონი, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენში თითქმის მთლიანად „დაკარგა ძალა". შარშან შექმნილი ეროვნული შემოსავლიდან არაფერი გამოყოფილა (და ვერც გამოიყოფოდა) დაგროვებისათვის, პირიქით, არსებითად შემცირდა იმ წარმოების საშუალებების გამოყენება, რომლებიც შემოგვრჩა.

ახლა საქართველოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო რაოდენობის დაზგებს, ჩარხებს, მილებსა და რიგ სატრანსპორტო საშუალებებს, წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგები და ქარხნები აღარ გვაქვს.

უამათოდ კი წინ ვერ წავალთ, ე. ი. ვერ შევქმნით თავად მოხმარების საგნებს, რაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ჩვენი ცხოვრების დონე და მატერიალური კეთილდღეობა.

მესამე კანონი. ეს არის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის კანონი. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის შემოსავლებთან, მათ შორის ხელფასთან შედარებით, უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება. ფაქტობრივად ჩვენში პირიქით ხდება. მარტო შარშან, ე. ი. ერთი წლის მანძილზე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება წინა წელთან შედარებით ერთი სამად დაეცა და 1990 წლის დონის 40 პროცენტი ძლივს შეადგინა.

მეოთხე კანონი. მისი არსი ერთობ უცნაურად ჟღერს და ამის გამო, ბევრ ჩვენგანს გააზრებაც კი უჭირს. ეს არის საზოგადოებრივი მოთხოვნილების მუდმივად ამაღლების კანონი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოთხოვნილებები სისტემატურად უნდა უსწრებდეს მისი დაკმაყოფილების საშუალებების ზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ (ვერ) იარსებებს პროგრესი, წინსვლა და განვითარება.

ჩვენში დღეისათვის იმიტომაც უფრო დაიძაბა საერთო ვითარება, რომ ობიექტურად არსებულ მზარდ მოთხოვნებს სულ უფრო და უფრო ჩამორჩება მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები, მე და ყველა სხვაც რომ მამაპაპური მოთხოვნილებების დონეზე ვიყოთ, მაშინ დღევანდელი სიდუხჭირის მიუხედავად, უბედნიერესი ხალხი ვიქნებოდით.

დიახ, ასეთია ობიექტური ეკონომიკური კანონების მეტად ზოგადი არსი და მნიშვნელობა. ისინი ყველა დროსა და ეპოქაში მოქმედებენ. ამიტომ არ შეიძლება მათი შეცვლა და გაუქმება. ადამიანებს შეუძლიათ მათი შესწავლა, შეცნობა და საზოგადოების ინტერესებისათვის გამოყენება.

ვინ უნდა აკეთოს ეს? უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა — პარლამენტმა და მინისტრთა კაბინეტმა.

ჩემი აზრით, მხოლოდ აღნიშნული კანონების მოთხოვნათა გონივრული გამოყენება, და არა მომაბეზრებელი პოპულისტური განცხადებები, დაგვეხმარება ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენი მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ინტელექტუალური პოტენციალი და ა. შ.

და ერთიც: ყველა მშრომელთან, ყველა პარლამენტართან, მათ შორის ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, არ მინდა დავიტირო ათწლეულების განმავლობაში ნაშენი, ნაოფლარი და ნალოლიავები საკუთრება. ანუ საზოგადოებრივი დოვლათი და სიმდიდრე. მინდა კვლავაც ერთად ვშრომობდეთ, ერთად ვზრდიდეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, მომავალ თაობებს.

ასეთია ჩემი იდეალი.

კლიმენტი ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 24 მარტიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	237,888.39	კუპონი
ავსტრიული შილინგი	28,282.90	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	499,498.06	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	96,412.26	კუპონი
გერმანული მარკა	198,745.16	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	176,758.06	კუპონი
დანიური კრონი	50,668.28	კუპონი
100 იტალიური ლირა	20,096.13	კუპონი
კანადური დოლარი	246,152.90	კუპონი
ნორვეგიული კრონი	45,764.52	კუპონი
აშშ დოლარი	336,000.00	კუპონი
ფინური მარკა	60,572.90	კუპონი
ფრანგული ფრანკი	58,282.90	კუპონი
შვედური კრონი	42,679.35	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	234,718.06	კუპონი
10 იაპონური იენი	31,712.90	კუპონი
ეკიუ	383,040.00	კუპონი
10 ესპანური პესეტა	24,247.74	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	13,614.19	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	481,420.65	კუპონი
ისლანდიური კრონი	4,645.16	კუპონი
ქუვეიტური დინარი	1.128,274.84	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	1,981.94	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	19,812.26	კუპონი
სინგაპურული დოლარი	211,854.19	კუპონი
10 თურქული ლირა	139.35	კუპონი
რუსული მანეთი	170.50	კუპონი
ლიტვური ლიტი	75,836.70	კუპონი
ლატვიური ლატი	493,312.77	კუპონი
ესტონური კრონი	21,885.38	კუპონი
10 უკრაინული კარბოვანეცი	88.55	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	14,663.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	75,507.68	კუპონი
ყირგიზეთის სომი	31,157.17	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

FREEDOM SUPPORT ACT-ის
1994 წლის სასტიპენდიო პროგრამა
აშშ-ში სააspirantურო
სწავლებისათვის

ამერიკის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში აცხადებს კონკურსს 1994 წლის FREEDOM SUPPORT ACT-ის სტიპენდიის მოსაპოვებლად, რომელიც ითვალისწინებს 150 კანდიდატის ერთი ან ორი წლის ვადით სწავლებას აშშ-ში შემდეგ სპეციალობებზე:

1. ტელეჟურნალისტიკა (ჟურნალისტიკა);
2. განათლების მართვა;
3. საბიბლიოთეკო საქმე;
4. საზოგადოებრივი პოლიტიკა.

კურსდამთავრებულებს გადაეცემათ შესაბამისი სერთიფიკატი და მიენიჭებათ ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას განურჩევლად რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ნაციონალური და ეთნიკური წარმომავლობისა თუ ინვალიდობისა, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. არის საქართველოს ან სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის მოქალაქე (40 წლამდე ასაკის);
2. თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას;
3. გააჩნია უმაღლესის წარჩინებით დამთავრების მოწმობა;
4. აქვს პროფესიული გამოცდილება არჩეულ სპეციალობაში.

კონკურსზე არ დაიშვებიან პირები, რომელთაც მეუღლე აშშ-ს მოქალაქე ჰყავთ, მუშაობენ ან აპირებენ აშშ-ში ცხოვრებას, შეტანილი აქვთ განაცხადი საემიგრაციო ვიზის ან პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად საზღვარგარეთ.

იმ პირებს, რომლებმაც ჩააბარეს 1994 წლის ედმუნდ მასკის სტიპენდიის ანკეტა, ახალი ანკეტის შევსება არ სჭირდებათ, რადგანაც ის შევსებული ანკეტა ვარგისია ამ პროგრამისთვისაც.

ანკეტისათვის მიმართეთ აშშ-ის საელჩოს
(თბილისი, ატონელის ქ. №25, ტელ: 98-99-67, 98-99-68)
10-დან 11 საათამდე და 16-დან 17 საათამდე, 1 აპრილიდან.

შ. პ. ს. ფირმა «ურანტი»
გთავაზობთ:

— რკინის კარებების,
გისოსების, გარაჟების;
— ხის მასალისაგან
ჟურნალ-გაზეთების,
ტელეფონის მაგიდების,
თაროების, კარადების
დამზადებას და
დამონტაჟებას შეღავათიან
ფასებში.

ჩვენი მისამართია: დიღომი, ლაღიძის ქ. № 7
(ქირურგიის ინსტიტუტის მახლობლად)
საკონტაქტო ტელ: 51-90-20 (9-დან 16 საათამდე)
23-36-64 (18 საათის შემდეგ)

contrast

ფირმა დაგეხმარებათ:
— ბინების ყიდვა-გაყიდვაში და გადაფორმებაში.
— სამშენებლო მასალების შეძენაში.

ფირმა გთავაზობთ:
— ვალუტის გამოსაცნობი ულტრაიისფერი აპარატი.
— Canon-ის ფირმის A4 ფორმატის მაგიდის ქსეროქსების დატენვა.
— ახალ კარტრიჯებს ფირმა Canon-ის ქსეროქსებისათვის: Canon 1015 1215, 1520; U-Bix 3042; Rank Xerox 1035/2830, 3107, 1045/1050; Ricon M100.
— მატარებელი (ნასიტელი) ქსეროქსებისათვის: Rank Xerox 1025/1038, Rank Xerox 1050, U-Bix V.
— დამხმარე მასალები: ბარაბანი, სილიკონის ზეთი და სხვა.
— კარტრიჯი ლაზერული პრინტერისათვის YP2 EP-S

ჩვენი მისამართი: 380012, თბილისი,
ბორჯომის ქ. №4, ფირმა „კონტრასტი".
ტელ: 34-74-03, 35-44-05,
ფაქსი (8832) 235-619.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს!

მღრღნელების საწინააღმდეგო პრეპარატი
«ბაქტოკუმარინი»

მრავალგზის გამოცდილი პრეპარატი, გამოიყენება მღრღნელების, ვირთაგვების, მინდვრის თაგვების, სახლის თაგვების საწინააღმდეგოდ.
პრეპარატი უვნებელია, როგორც ადამიანებისათვის, ასევე ყველა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის.

მოგვმართეთ მისამართზე:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 139.
სამედ. პარაზიტოლოგიის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი, ფირმა „ხოდანი",
ტელ: 96-77-81, გამოსასვლელი დღე კვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედულება

ჩანს, ძალზე მძიმეა ილია ჭავჭავაძეობის ტვირთი

აკაკი ბაქრაძესთან პაექრობა ძალიან ძნელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი კრიტიკის შემცველ პუბლიკაციებს თითქმის ტაბუ ადევს... რედაქტორები იცხადებენ: როგორ შეიძლება ბატონ აკაკის კრიტიკა?.. და თუ მაინც დაგიბეჭდეს, ხშირად ყველაზე არსებითს ამოგლეჯენ ხოლმე ტექსტიდან.

ძნელია ბაქრაძესთან პაექრობა იმიტომაც, რომ იგი როცა გრძნობს თავისი პოზიციის სისუსტეს, წაუყრუებს ხოლმე; დგება ისეთ პოზაში, თითქოს უბრალოდ თავს არ უყადრებს მოპაექრეს. სამაგიეროდ, თუ დაინახა, რომ ოპონენტს წამგებიანი პოზიცია აქვს, მაშინვე ქორივით დააცხრება.

ასე, მაგალითად, მან წაუყრუა ყოფილი პოლიტპატიმრის ვაჟა ჟღენტის (გაზ. „მანსი", 17 ნოემბერი, 1993), ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძის (გაზ. „დრონი", 7 აგვისტო, 1993), ფილოსოფოს ბენო დობორჯგინიძის (გაზ. „მანსი", 24 დეკემბერი, 1993) კრიტიკულ სტატიებს, თუმცა სამივე სტატია მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმოა.

სამაგიეროდ აკ. ბაქრაძემ ვრცელი პასუხი გასცა კადეტთა პარტიის წევრის თემურ მიქაუტაძის ღია ბარათს. სრული სერიოზულობით დაიწყო გაკრიტიკება ბ-ნ თ. მიქაუტაძის ისეთი უსაშველოდ გულუბრყვილო მოსაზრებისა, როგორიცაა მტკიცება, რომ საქართველომ, გაეროს წევრმა ქვეყანამ, ახლა, დღეს უნდა უარყოს საკუთარი საერთაშორისო აღიარება და კოლონიური ქვეყნის სტატუსი მიიღოს.

განა ისეთ საკითხებზე საპაექროდ ღირს მელნისა და ქაღალდის დახარჯვა?

აკ. ბაქრაძის მიერ რეაგირების გარეშე დატოვებული სტატიებიდან მე განსაკუთრებით გამოვყოფდი ბატონ ბ. დობორჯგინიძისას, რომელიც უაღრესად მაღალპროფესიულად არის დაწერილი. ავტორს ღრმად შეუსწავლია აკაკი ბაქრაძის ნაწერები და დიდი დამაჯერებლობით უჩვენებს, რომ ქართველთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ფილოსოფიური ნააზრევი აგებულია განსაცვიფრებელ, პირდაპირ დაუჯერებელ კურიოზებსა და გაუგებრობებზე. ამასთან, ბ. დობორჯგინიძე ასაბუთებს, რომ აკ. ბაქრაძე, თუკი დასჭირდა, არც იმის დაწერას ერიდება, რაც აშკარად არ არის სიმართლე.

მე დიდი ინტერესით ველოდი ბატონ აკ. ბაქრაძის საპასუხო პუბლიკაციას, მაგრამ, თუმცა უკვე საკმაოდ დიდი ხანი გავიდა, იგი დღემდე დუმს. არ ვაპირებ წინასწარმეტყველის პოზაში დგომას, მაგრამ როცა ბატონ ბ. დობორჯგინიძის ყოველმხრივ არგუმენტირებულ სტატიას ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ ოპონენტი მას პასუხს არ (უფრო სწორად, ვერ) გასცემდა.

მას შემდეგ, რაც ბ. დობორჯგინიძის სტატიამ დაგვანახა, რაოდენ მწირია აკ. ბაქრაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები, პირადად ჩემთვის ბევრი რამ გახდა ნათელი. მაგალითად, ის თუ რატომ არის აკ. ბაქრაძის მსოფლმხედველობაც, მისი პრაქტიკული საქმიანობაც ესოდენ ხშირად წინააღმდეგობრივი; რატომ აქვს მის განცხადებებსა და ქმედებებს ესოდენ ხშირად აბსურდული და პროვოკაციული ხასიათი...

ერთ საგაზეთო სტატიაში, ცხადია, ვერ მოვიცავთ აკ. ბაქრაძის მთელს ნააზრევსა და ნამოღვაწარს. ამიტომ მისი შეხედულებებისა და მოქმედების აბსურდულობის, პროვოკაციულობის სადემონსტრაციოდ განვიხილავთ მხოლოდ ერთ ასპექტს.

ის, რასაც ბატონი აკაკი ბაქრაძე ბეჭდავს და საჯაროდ აცხადებს მეზობელ ერებთან ქართველების დამოკიდებულებაზე, პირდაპირ — სხვა სიტყვას ვერ ვნახულობ — საშინელებაა. იგი პრაქტიკულად ყველა მეზობელი ერისადმი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისაკენ მოგვიწოდებს.

„სომხეთი ჩვენ მაინც დაგვესხმის თავს. (...) ნურავინ იფიქრებს, რომ ეს არ მოხდება. მოხდება და ძალიან მალეც". (გაზ. „საქართველო", 17 ივლისი, 1992).

„აზერბაიჯანელებიც შეეცდებიან ქართული მიწა-წყლით მოითბონ ხელი". (იქვე).

— „სომხებით დასახლებულ ტერიტორიას წაიღებს სომხეთი. აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიას წაიღებს აზერბაიჯანი" (გაზ. „რეზონანსი", 8 ივლისი, 1993).

ამგვარ განცხადებებს, გაკეთებულს საჯაროდ, პრესაში, შეუძლებელია ეწოდოს რამე, გარდა პროვოკაციისა. ჯერ ერთი, რატომ ვამტკიცებთ ესოდენ უაპელაციოდ რომ სომხები და აზერბაიჯანელები უსათუოდ ომს აგვიტეხენ და ტერიტორიებს წაგვართმევენ? მსოფლიოს ქვეყანათა აბსოლუტური უმრავლესობა მრავალეროვანია და განა უმცირესობა ყველგან ეომება უმრავლესობას?! თუმცა, ამგვარ განცხადებებს თუ არ დავიშლით, მართლა შეიძლება გავაღვივოთ კონფლიქტი, ეს განცხადებები შეუძლებელია ძალიან მტკივნეულად არ აღიქვას მეზობელი ერების უმრავლესობამ, რადგან მათში, ამ განცხადებებში არის სრული უნდობლობა მათდამი, აპრიორულად მტრული დამოკიდებულება. ამ განცხადებებს ერთვის ბაქრაძის მოწოდებები ქართველებისადმი, ემზადეთ ომისთვის, რაც მეზობელ ერებში ანალოგიური ქმედების პროვოცირებას გამოიწვევს.

თავის დროზე სწორედ ამგვარი პროვოკაციული გამონათქვამებით ჩვენმა „ეროვნულმა ლიდერებმა" კოზირები მისცეს აფხაზ და ოს სეპარატისტებს, დაეხმარნენ მათ აფხაზთა და ოსთა ძირითადი მასის ანტიქართულად განწყობაში.

მაგრამ აკ. ბაქრაძეს არ აკმაყოფილებს მხოლოდ სომხებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ომისათვის მზადება. იგი აცხადებს: „ჩვენ სხვა ომების გადატანაც მოგვიწევს". (გაზ. „თბილისი", 30 ოქტომბერი, 1992).

თეორიულ მტრს „ეროვნული მოძრაობისა" თვით რუსეთისაც კი არ ეშინია. მას მრავალგზის გამოუთქვამს უკიდურესად შეურაცხმყოფელი მოსაზრებები რუსი ხალხის მისამართით (დიახ, ხალხის და არა რუსეთის რეაქციული წრეების მისამართით). ერთხელ ისიც კი თქვა ტელევიზიით, რუსეთისა და საქართველოს შერიგება არ შეიძლება. ბ-ნ ნ. ნათაძის კვალად, აკ. ბაქრაძეც მოითხოვს დაფიქსირდეს, რომ რუსეთი და საქართველო ომის მდგომარეობაში არიან. იგი გვირჩევს „მოსკოვიდან საქართველოს ელჩის გამოწვევას და რუსეთის ფედერაციის ელჩის საქართველოდან გაძევებას"; („რეზონანსი", 8 ივლისი, 1993).

ნ. ნათაძე და ა. ბაქრაძე არ უფიქრდებიან იმას, რომ ჩვენს მიერ რუსეთ-საქართველოს ომის „დაფიქსირება" და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, რუსეთის მხრივ თავისუფლად შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც საქართველოს მიერ ომის გამოცხადება ან მზადება ომისათვის. აქედან გამომდინარე, რუსეთს შეეძლება საპირისპირო აქციები თავდაცვით ღონისძიებებად დააკვალიფიციროს. თუ რა მოჰყვება ამ „თავდაცვით" ღონისძიებებს, ყველა ნორმალური ადამიანისთვის ნათელია. მხოლოდ ეროვნულ-გამანადგურებლებმა ვერ შეიგნეს.

როგორც ვხედავთ, აკ. ბაქრაძე ყველა მეზობელ ერთან უკიდურესი დაპირისპირებისაკენ მოგვიწოდებს. (აფხაზების, ოსების და ჩრდილო-კავკასიელების მისამართით მისი აგრესიული, მტრული გამონათქვამების მოტანა აქ ზედმეტად მესახება. ისინი საყოველთაოდ ცნობილია).

რისი იმედი აქვს ბაქრაძეს, ასე გულადად რომ იწევს ყველაზე? იქნებ ცივილიზებული დასავლეთისა?

„საქართველომ შეიძლება მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ ექნება". („საქართველოს რესპუბლიკა", 2 ოქტომბერი, 1993). ამ აზრის დასტურად მოხმობილია საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტები დასავლეთის გულგრილი დამოკიდებულებისა საქართველოს ბედისადმი. ბატონი აკაკი დასძენს: „ახლაც ასე მოხდება, თუ საერთაშორისო სასამართლოში ვიჩივლებთ, გაუთავებლად ილაყბებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი". „...გარდა ჰუმანური დახმარებისა, საქართველოს სხვა დახმარებას მსოფლიო არ გაუწევს. საქართველოს გულისთვის რუსეთს არავინ აწყენინებს და მტრად არ მოიკიდებს" (იქვე).

მიუხედავად ამისა, ჩვენ თურმე მაინც ყველა მეზობლის წინააღმდეგ ბრძოლა გვმართებს!

მაგრამ, როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა იტყოდა ხოლმე, მთავარი ის არის, რომ მტერი აკ. ბაქრაძეს მხოლოდ ჩვენი ერის გარეთ როდი ეგულება. საყოველთაოდ ცნობილია მისი მტრული, უკომპრომისო გამონათქვამები კომპარტიის ყოფილ წევრებზე (ალბათ ავიწყდება, თვითონაც რომ ყოფილი პარტბილეთიანი კომუნისტია). არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ყოფილი კომუნისტების გამოსწორება შეუძლებელია. (ნეტავ, თვითონ როგორ გამოსწორდა?).

დასასრული. დასაწყისი იხ. „ხრ" № 45 (847).

ეს აზრი ვრცელდება ჟიული შარტავაზეც, რომელიც „ეროვნული ლიდერებისაგან" განსხვავებით ბევრს არ ლაპარაკობდა. მან უბრალოდ ააშენა ერთი ქალაქი (რომელიც „ეროვნულმა მოძრაობამ" მიწასთან გაასწორა, როგორც ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი). ჟიულიმ მეორე ქალაქიც ააყვავა და მისი მცხოვრებლების უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. მერე მესამე, ცეცხლმოდებულ ქალაქში გაემგზავრა. შვილებს, მახლობლებს გამოსათხოვარი წერილი დაუტოვა და თავი დადო სამშობლოსათვის. შეეგება საშინელი წამებით სიკვდილს. მიუხედავად წამებისა, არც არაფერი თქვა სეპარატისტთა სასარგებლო, არც არაფერს ხელი მოაწერა. თუმცა ნათელია, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი ერთი სიტყვა, მისი ერთი ხელმოწერა სეპარატისტებისათვის და რა საშინელი სისასტიკით ეცდებოდნენ ამის მიღწევას.

აკ. ბაქრაძის აზრი კომპარტიის ყოფილ წევრებზე მერაბ მამარდაშვილსაც შეეხება, გენიალურ მოაზროვნეს, ქართველ სოკრატედ წოდებულს, რომელიც არსებითად, ქართველთაგან ერთადერთი, საერთაშორისო დონეზე ამკვიდრებდა საქართველოს სასარგებლო აზრს. იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ კომპარტიის მანდატი არ დაუგდია. თანაც კატეგორიულად აცხადებდა — არც დავაგდებო.

დამისახელოს აკაკი ბაქრაძემ, ან ვინმე სხვამ, ჟიული შარტავასებრ თავგანწირული კაცი „ეროვნული მოძრაობის" ლიდერთა შორის, რომელთაგან 9 აპრილიდან დღემდე არც ერთი არც კი გაკაწრულა!

დამისახელეთ „ეროვნულ ლიდერთა" შორის მერაბ მამარდაშვილის დარი მოაზროვნე (პატრიოტი მოაზროვნე!). ვერ დამისახელებთ!

ნუთუ ის არის აზროვნება, თეორეტიკოსობა, მამულიშვილობა, რომ შენს გაუბედურებულ, ყოველმხრივ უმძიმეს განსაცდელში მყოფ ერს ყველა მეზობელს მტრად ჰკიდებდე?! მოუწოდებდე ყველას წინააღმდეგ საომრად, თან აცხადებდე, არსაიდან არავინ დაგვეხმარებაო?! ნუთუ ის არის თეორეტიკოსობა და მამულიშვილობა, რომ ყოფილ კომუნისტებს (ოთხას ათას კაცს პლუს მათი ოჯახის წევრები და მახლობლები) უმხედრებდე დანარჩენ ქართველობას?!

დარწმუნებული ვარ, ა. ბაქრაძეს კარგად ესმის, რომ მისი მოწოდებები უბედურების მეტს არას მოუტანს საქართველოს. უთუოდ იმიტომ გაარიდა აქაურობას თავისი ვაჟი, ჯარის ასაკის ვაჟკაცი! (როცა მოგვიწოდებს „შეაწყდით რუსებსო", თავისი შვილი, რასაკვირველია, მხედველობაში არა ჰყავს).

ა. ბაქრაძეს, თავისი მოწოდებების მოსალოდნელი შედეგები რომ აქვს გააზრებული, უთუოდ ესაა მიზეზი კრიზისულ სიტუაციათა დაწყებისთანავე ჩირგვებს რომ მიაშურებს ხოლმე.

ა. ბაქრაძე ხშირად მოგვიწოდებს, ქართველებო, ვაჟკაცურად უნდა მოვიქცეთ, დაე, ამოვწყდეთ, მაგრამ გმირების სახელი დავტოვოთო. ამასთან დაკავშირებით მას შევახსენებ ორ გამონათქვამს, რომელთაგან ერთი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ დიდ მწერალს ეკუთვნის, ხოლო მეორე — საქართველოს საერთოდ ყველაზე დიდ მწერალს.

„ყველა მოწოდება, რომელიც სახელოვან სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლეზე მაღლა აყენებს, კონკრეტული პიროვნებებისთვისაა გამიზნული და არა ერისთვის" (ოთარ ჭილაძე).

„საცა არა სჯობს, გალლა სჯობს კარგისა ვარკაცისაგან". (შოთა რუსთაველი).

აკაკი ბაქრაძის პოლიტიკური პორტრეტისათვის

• • •

ჩვენი „ეროვნული მოძრაობის" ერთი უმთავრესი თვისებაა სნობიზმი — ყველაფერში დასავლეთის წამხედურობა. დასავლური ნაგავიც კი ეძვირფასებათ „ეროვნულ ლიდერებს", თუმცა ის, რასაც ჩვენში დასავლეთზე ორიენტირებას ეძახიან, უფრო მდიდართან და გავლენიანთან მიტმასნებას ჰგავს, ვიდრე გააზრებულ პრინციპულ პოლიტიკურ ორიენტაციას.

და მით უფრო საოცარია დასავლელ პოლიტიკოსთა კურსის, მათი პირდაპირი რჩევების სრული იგნორირება „ეროვნული ლიდერების" მიერ ისეთ ქვაკუთხედურ საკითხში, როგორიცაა რუსეთთან მიმართება.

დასავლეთის „რუსული პოლიტიკა" სრულიად ნათლად არის გამოკვეთილი. იგი ემყარება სამ პოსტულატს:

1. „პერესტროიკის" დაწყებისთანავე დასავლელმა პოლიტიკოსებმა ირწმუნეს, რომ ამ პროცესებს, თუ წარმატებით განვითარდებოდა, შეეძლო რუსეთის გადაქცევა ტიპურ ცივილიზებულ სახელმწიფოდ;

2. დასავლეთში იცოდნენ, რომ „პერესტროიკის" განვითარება, რუსეთის დემოკრატიზაცია ურთულესი პროცესი იყო და ამიტომ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს რუსეთის დემოკრატიულ ძალებს;

3. დასავლეთში იცოდნენ და იციან ისიც, რომ რაოდენ დემოკრატიულ ქვეყანადაც უნდა გადაიქცეს რუსეთი და რამდენი რესპუბლიკაც უნდა ჩამოსცილდეს, იგი მაინც დარჩება ატომურ ზესახელმწიფოდ, ყველაზე დიდი ტერიტორიითა და ყველაზე დიდი ბუნებრივი სიმდიდრით, რომელსაც, როგორც ყველა სხვა ზესახელმწიფოს, სრულად გასაგები სტრატეგიული ინტერესები ექნება მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებში.

დასავლელი პოლიტიკოსები ჩვენც სრულიად გასაგებად გვირჩევდნენ ამ სამი პოსტულატის აღიარებასა და გათვალისწინებას. მაგრამ ჩვენმა ლიდერებმა (და, სხვათა შორის, განსაკუთრებით აკ. ბაქრაძემ) დიამეტრულად საპირისპირო პოზიცია დაიჭირეს. ისინი დადგნენ „პერესტროიკის" აპრიორულად მიუღებლობის პოზიციაზე. ყველა ხიდი დაწვეს რუსეთის ყველა ძალასთან. რუსეთის ნებისმიერ პოლიტიკურ აქტიურობას მისთვის მოსაზღვრე ამიერკავკასიაში ხვდებიან ისტერიული ყიჟინით და ლანძღვა-გინებით.

პირადად მე თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ამგვარი პოზიციის მიზეზი იყო „ეროვნულ ლიდერთა" გულუბრყვილობა და არაკომპეტენტურობა. ამიტომ ვცადე მათთან დიალოგის გამართვა; პრესაში გამოვაქვეყნე რამდენიმე სტატია, რომლებშიც შევეცადე, მეჩვენებინა აღნიშნულ ლიდერთა ანტირუსული დებულებების უსაფუძვლობა. აქ უმოკლესად გავიმეორებ ამ ჩემს დებულებებს:

1. არ შეიძლება რუსი ხალხის (ან ნებისმიერი სხვა ხალხის) „გენეტიკურ ნაკლოვანებებზე", მის „გამოუსწორებლობაზე" ლაპარაკი, რასაც აკ. ბაქრაძე და მისი თანამოაზრენი აკეთებენ. ეს რასისტული მსჯელობაა და ამას ძალიან ძვირად დაგვისვამს ცივილიზებული მსოფლიო;

2. როცა აკ. ბაქრაძე და მისი თანამოაზრენი გვიმტკიცებენ, რუსეთის ნდობა არ შეიძლება, რადგან იგი ისტორიულად დამპყრობლურ ომებს აწარმოებდაო, რად არ ფიქრობენ, რომ დამპყრობლურ ომებს ის ქვეყნებიც აწარმოებდნენ, რომელთაც დღეს ესოდენ ველტვით?

3. აკ. ბაქრაძეს და მის თანამოაზრეებს რუსთა „იმანენტური იმპერიალისტების" საბუთად მოაქვთ რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა პროიმპერიული გამონათქვამები. მაგრამ განა ქართულ ლიტერატურაში არ ვხვდებით ამგვარ გამონათქვამებს?

4. „ეროვნულ ლიდერებს" შეცდომაში შეჰყავთ ქართველი ხალხი, როცა ამტკიცებენ, რუსეთთან შეერთებამ კარგი არაფერი მოგვიტანაო. დიდი ილია თვლიდა, რომ ერეკლე II-ის ნაბიჯს დადებითი შედეგები უფრო მეტი მოჰყვა, ვიდრე უარყოფითი;

5. ილია კატეგორიულად აფრთხილებდა ქართველებს, რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ რუსეთთან ურთიერთობაშიო. აკ. ბაქრაძე და მისი თანამოაზრენი კი, თითქოს განზრახ, ყველაფერს აკეთებენ ზემძლავრი მეზობლის გასაღიზიანებლად და წონასწორობიდან გამოსაყვანად;

6. „ეროვნული მოძრაობა" ატყუებს ქართველ ხალხს, რომ საქართველოს ბრძოლას თვით ყველაზე დემოკრატი რუსებიც კი არ უჭერენ მხარს. მე შემიძლია დასახელება რამდენიმე ათეული პუბლიკაციის თუ ფაქტისა, რომლებიც ადასტურებს, რომ ბევრი რუსი ჩვენ გულწრფელად გვქომაგობს;

7. რუსეთთან მტრობა ჩვენთვის დამღუპველი იქნება. ამიტომ მაგალითი უნდა ავიღოთ ფინეთისგან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეგობრული ტონით ელაპარაკებოდა რუსეთს, ანგარიშს უწევდა მის გეოსტრატეგიულ ინტერესებს და ყველა თვალსაზრისით მოგებული დარჩა.

აი, ეს დებულებები (უფრო გაშლილი სახით) გამოვაქვეყნე რამდენჯერმე პრესაში, მაგრამ „ეროვნული მოძრაობის" მხრიდან პასუხს ვერ ვეღირსე. ვერ ვეღირსე, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ჩემს უკანასკნელ პუბლიკაციაში (გაზ. „ივერია-ექსპრესი", 18 დეკემბერი, 1993) ვწერდი: „მინდა მივმართო ნოდარ ნათაძეს, აკაკი ბაქრაძეს, ირაკლი წერეთელს, თამარ ჩხეიძეს და მათს თანამოაზრეებს და ვთხოვო, ამჯერად მაინც ნუღარ წაუყრუებენ ჩემს არგუმენტებს".

სტატიის ფინალში ამასაც ვწერდი: „დარწმუნებული ვარ, ულტრალიდერები და მათი თეორეტიკოსები ამჯერადაც წაუყრუებენ ჩემს შეკითხვებს, რადგან პასუხები მათზე არ მოეპოვებათ. კონფრონტაციას რუსეთთან ისინი ამწვავებენ არა იმიტომ, რომ ხედავენ ამის პოლიტიკურ აუცილებლობას, არამედ იმიტომ, რომ პირადად სჭირდებათ ეს".

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ეს ჩემი წინასწარმეტყველება ახდა. ულტრალიდერები დუმან, მაშასადამე, არ გააჩნიათ თავიანთი ანტირუსული პოლიტიკის გამამართლებელი არგუმენტები. მაშ, რაში სჭირდებათ ეს პოლიტიკა? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, ერთ პუბლიკაციას უნდა შევეხო.

• • •

ჩემს ზემოხსენებულ პუბლიკაციას („ივერია-ექსპრესი", 18 დეკემბერი, 1993 წ.) მოჰყვა ერთადერთი გამოხმაურება — აკაკი ბაქრაძის ინტერვიუ („თემი", № 2, 1994). მაგრამ ეს არ ყოფილა პასუხი, იყო მხოლოდ ჩემი ლანძღვა-გინება.

ბატონი აკაკი ბრძანებს: „მე წავიკითხე მირიანაშვილის სტატია და, ბუნებრივია, არაფერს, რაც მასში წერია, მე არ ვეთანხმები".

სამწუხაროდ, პატივცემული ოპონენტი არას ამბობს იმაზე, თუ კონკრეტულად რა წერია ჩემს სტატიაში (არ მოაქვს არც ერთი ციტატა ან, თუნდაც, პარაფრაზი). ამით ხელებს იხსნის, რომ მომაწეროს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება და მლანძღოს. კერძოდ, მაბრალებს, თითქოს ჩემს წერილში, რომელშიც ხაზგასმულია „ფინური მოდელის" მისაღებობა საქართველოსათვის, სუვერენიტეტის იდეას უარვყოფდე.

ლანძღვის ჟინში შესული ბაქრაძე განაგრძობს: „მირიანაშვილის ხსენებული სტატია პირდაპირი გაგრძელებაა ნიჰილისტური იდეისა, რომელიც ჩვენში ყოველთვის არსებობდა. გავიხსენოთ XIX საუკუნე, როცა გამოვიდა გიორგი მუხრან-ბატონის წიგნი, აგრეთვე ივანე ჯანდიერის (?—თ. მ.), სხვათა და სხვათა წერილები".

პირველ ყოვლისა, ვიტყვი, რომ გვარი „მუხრან-ბატონი" უდეფისოდ იწერება, აკ. ბაქრაძის ინტერვიუში კი დეფისით არის გაყოფილი.

ეხლა ეს ვიკითხოთ, ვინ არის ივანე ჯანდიერი? აკ. ბაქრაძეს ალბათ ივანე ჯაბადარი ჰყავს მხედველობაში, რომელმაც 1889 წელს მოღალატური სტატიების სერია გამოაქვეყნა ს. პეტერბურგში „ნ. დ."-ის ფსევდონიმით.

იქნებ მითხრან, ინტერვიუს ტექსტზე ინტერვიუერია პასუხისმგებელიო. გეთანხმებით. მაგრამ წარმოუდგენელია ესოდენ ვრცელი და პრობლემური ინტერვიუს კორექტურა აკ. ბაქრაძესაც არ წაეკითხა. უბრალოდ, იგი ყურმოკვრით იცნობს გ. მუხრანბატონისა და ივ. ჯაბადარის ანტიეროვნულ, პროიმპერიულ პუბლიკაციებს. და წერს ყურმოკრულის შესახებ. ისევე, როგორც ყურმოკრულის საფუძველზე ეჭიდება ფილოსოფიურ (იხ. ბ. დობორჯგინიძის ხსენებული სტატია) და მრავალ სხვა საკითხს.

ბატონი აკ. ბაქრაძე კარგად იცნობს პოლემიკის კანონებს და მოეხსენება, რომ არ შეიძლება ოპონენტს ანტიპატრიოტობა, მოღალატეობა დააბრალო (გ. მუხრანბატონთან და ივ. ჯაბადართან შედარება კი სწორედ ამას ნიშნავს) და ერთი არგუმენტიც კი არ მოიტანო არც ციტატის და არც პარაფრაზის სახით.

ეს ცილისმწამებლობაა!

...ახლა იმის შესახებ, თუ რატომ სჭირდებათ აკ. ბაქრაძეს და სხვა ულტრალიდერებს რუსეთთან (ყველანაირ რუსეთთან!) პერმანენტული და ტოტალური კონფრონტაცია.

მათ სჭირდებათ მტრის სახება, სჭირდებათ მადესტაბილიზებელი ფაქტორი. თუ ჩვენს ქვეყანაში მოიხსნა დაძაბულობა, უმალ გამოჩნდება „ეროვნულ ლიდერთა" ინტელექტუალური სიბერწე. დაძაბულობის, დესტაბილიზაციის პირობებში კი მათ აქვთ საშუალება წამოიძახონ გადაგვარებული ლოზუნგები (თუმცა საქმე საქმეზე თუ მიდგა, მაშინვე დაიმალებიან); აქვთ საშუალება მიტინგი მოაწყონ ან პარლამენტი გადააქციონ მიტინგად და ამ გზით გამოჩნდნენ.

აი, ეს არის მათი ერთადერთი საფიქრალი.

• • •

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ბატონ აკაკი ბაქრაძეს ვერავინ წაართმევს უდავო დამსახურებას კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა იმის დანახვაც საჭიროა, რომ სამოცდაათიანი წლებიდან, ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი ლიბერალური კლიმატის წყალობით, ამგვარი ბრძოლა აღარ იყო დაკავშირებული განსაკუთრებით დიდ საფრთხესთან. და აკი არც დაუჭერიათ აკ. ბაქრაძე! პირიქით, იგი მუდამ საკმაოდ მაღალ და პრესტიჟულ თანამდებობებზე მუშაობდა.

„პერესტროიკის" დაწყების შემდეგ კი ბატონმა აკაკიმ ვეღარ ზიდა ერის ლიდერის, „დღევანდელი ილიას" ტვირთი. კომუნისტების დროს ყველაფერი ნათელი იყო, — ყველა ვხედავდით, რომ არსებული რეჟიმი არ ვარგოდა. საჭირო იყო მხოლოდ გვქონოდა გამბედაობა ამის თქმისა. აგრეთვე გვქონოდა სათანადო ორატორული ან პუბლიცისტური ნიჭი. „პერესტროიკის" შემდეგ კი უაღრესად ძნელი გახდა ისტორიულ პროცესებში სწორად ორიენტირება, გაგება იმისა, თუ სად არის ჭეშმარიტი გზა. აკ. ბაქრაძემ ახალ პროცესებში ორიენტირება ვეღარ შეძლო და კრიზისულ სიტუაციებში ხალხს ემალება, ალბათ, არა იმდენად შიშის გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ უბრალოდ არ იცის, რა ურჩიოს ლიანგს (ეს მშვენიერი სიტყვა — ლიანგი — რომელსაც დაახლოებით ბრბოს მნიშვნელობა აქვს, გურული დიალექტიდან სალიტერატურო ენაში აკ. ბაქრაძემ შემოიტანა). ამიტომ იღებს პოზას ლიანგზე, ხალხზე, ერზე გაბუტული კაცისა, რომლის ჭკუის სწავლების ღირსი ლიანგ — ერი არ არის.

ასეა თუ ისე, აკაკი ბაქრაძე თავისი დამსახურებებითა და შეცდომებით უკვე გუშინდელი დღის მოღვაწეა. სამომავლოდ მისი იმედი ვეღარ და ნუღარ გვექნება.

თემურ მირიანაშვილი.

შემორიგების კურსით

ამ დღეებში ზუგდიდში გაიმართა დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციათა ზონის დროებითი კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ამ ზონის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. განიხილეს რეგიონის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი ექსპრეზიდენტის ხელისუფლების მომხრეთა შემორიგების საკითხს. კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა დროებითი კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულება შემორიგების კომისიების ადგილებზე შექმნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ დებულების მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის ადგილობრივი მმართველობის გამგეობებთან უკვე მოქმედებს შემორიგების საკითხთა კომისიები. მიღებული დოკუმენტის თანახმად, ეს კომისიები უფლებამოსილი არიან: კოორდინაცია გაუწიონ სხვა სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას. საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იმ პირების, პირთა ჯგუფებისა და შეიარაღებული ფორმირებების გამოსავლენად, შემოსარიგებლად, რომლებსაც არ ჩაუდენიათ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაული, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანოებში შეიტანონ წარდგინება იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც აფერხებენ კომისიების დადგენილებებს და ხელს უშლიან შემორიგების სახელმწიფო კურსის განხორციელებას.

ოდიკ ქუხილავა.

უცხოეთის პრესიდან

ამერიკის შეერთებულ შტატებს ყურადღება გადააქვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე

„ინტერნეშენლ ჰერალდ ტრიბუნი"-ს ფურცლებზე

— ამ თემას უძღვნის გაზეთი „ინტერნეშენლ ჰერალდ ტრიბუნი" თავის ერთ-ერთ პუბლიკაციას. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

გაითვალისწინა რა კრიტიკა რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკის გამო, კლინტონის ადმინისტრაცია ცვლის თავის გეზს. იგი უფრო მკაცრი ტონით იწყებს რუსეთთან ლაპარაკს და ყურადღება გადააქვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე...

უკრაინის, საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტების ამასწინანდელი ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგალითია ამ ცვლილებისა და ისინი ნაწილობრივ აკმაყოფილებენ კრიტიკულად განწყობილი კონგრესის წევრებისა და საგარეო ექსპერტების აზრს იმის თაობაზე, რომ საჭიროა ადმინისტრაციის „უპირველეს ყოვლისა, რუსეთის" მიდგომის გადახედვა.

ამის მაგალითია ახლავე პრეზიდენტ კლინტონის გადაწყვეტილება გაორმაგოს ეკონომიკური დახმარება უკრაინისა და ყაზახეთის და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მეშვეობით დაეხმაროს საქართველოს შინაგანი კონფლიქტის მოგვარებაში, რაც თავისთავად აღიქმება საზღვრებს გარეთ რუსეთის „კუნთების შესუსტების" მცდელობად.

ვაშინგტონის ოფიციალური წარმომადგენლების აზრით, უკრაინისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ეკონომიკური დახმარების გაფართოება მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთ-ერთი გარანტია. როგორც სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ს. ტალბოტმა ამას წინათ განაცხადა: „ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებას, თუ ისინი ვერ შეძლებენ დაძლიონ ღრმა ეკონომიკური კრიზისი, მათი არსებობა დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით კითხვის ქვეშ დადგება. უკრაინა განსაკუთრებით ნათელი მაგალითია ამისა". ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კმაყოფილებით აცხადებს, რომ ახლო წარსულთან შედარებით იგი გაცილებით მეტ ენერგიასა და სახსრებს ახმარს 14 არარუსულ რესპუბლიკას. თუკი ბოლო ორი წლის მანძილზე ყოფილი სსრ კავშირისათვის განკუთვნილი დახმარების ნახევარზე მეტი რუსეთს ხმარდებოდა, გაისიდან ეს სურათი რესპუბლიკების სასარგებლოდ შეიცვლება.

დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალისტური ძალების გამარჯვებამ და მოსკოვის საგარეო პოლიტიკის შემდგომმა „გავრიელებამ" გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ტონის გამკაცრება მოსკოვის მიმართ. მართალია ვაშინგტონში ბევრს ლაპარაკობენ ახლო აღმოსავლეთსა და ბოსნიაში რუსეთის სამშვიდობო როლზე, მაგრამ, ამავე დროს, სულ უფრო ხშირად გაისმის გაფრთხილებები რუსეთში ნაციონალისტური ამბიციების მოზღვავების გამო. გასულ კვირას თავის გამოსვლაში თავდაცვის მინისტრმა უილიამ პერიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს უნდა დაეხმარონ დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებაში. ამასთანავე, მან გამოთქვა აზრი, რომ „ამ რთული გარდამავალი ეპოქიდან რუსეთი შეიძლება მოგვევლინოს ავტორიტარულ, მილიტარისტულ, იმპერიალისტურ და დასავლეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ". ამიტომ იგი თვლის, რომ პენტაგონმა არ უნდა შეასუსტოს თავისი პოტენციალი...

უკრაინის პრეზიდენტის ლ. კრავჩუკის ვიზიტის დროს ბატონმა კლინტონმა ხაზგასმით დაუჭირა მხარი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მაშინ, როცა რუსი ნაციონალისტები გამოთქვამენ თავიანთ პრეტენზიებს ყირიმის მიმართ...

როგორც ბატონმა ტალბოტმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის უჭერდა მხარს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ მეთვალყურეთა აზრით, ვაშინგტონის ადმინისტრაციის მიერ ბოლო ხანს ხაზგასმულად გამოთქმული ანალოგიური განცხადებები საქართველოსა და ბალტიისპირეთთან დაკავშირებით მიუთითებს ახალ პოზიციაზე რუსული ნაციონალიზმის მიმართ...

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აშკარად არ აცხადებს თავისი კურსის შეცვლას რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ბატონ ტალბოტის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები მეტ ყურადღებას უთმობდა რუსეთს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის უდიდეს ქვეყანას, რომლის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ვითარებას დანარჩენ რესპუბლიკებში. რაც შეეხება უფრო თბილ ურთიერთობას უკრაინასთან და ყაზახეთთან, ეს გამოწვეულია მათი გადაწყვეტილებით ხელი აიღონ ბირთვულ იარაღზე და უფრო სერიოზულად მოეკიდონ ეკონომიკურ რეფორმას.

ბელგიასა და ევროგაერთიანებასთან საქართველოს საელჩოს პრესსამსახური.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პარლამენტის არჩევნები უკრაინაში

27 მარტს უკრაინაში მრავალპარტიულ საფუძველზე პარლამენტის არჩევნები გაიმართება. რესპუბლიკაში უკვე ჩამოვიდნენ უცხოელი მეთვალყურეები. დეპუტატის 450 ადგილზე დასახელებულია თითქმის 6.000 კანდიდატი. მეთვალყურეთა აზრით ძლიერი პოზიცია აქვთ სოციალისტებს, კომუნისტებს და აგრარიკოსებს, —რეფორმების რეგიონთაშორისი ბლოკი, (რომელშიც შედიან საწარმოთა დირექტორები და მეწარმეები) შეძლებს, როგორც ვარაუდობენ, არაუმეტეს 10-15 პროცენტი ადგილის მიღებას. ექსპერტების აზრით შედარებით უკეთესი შანსი აქვს ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ბლოკს: რუხი, უკრაინის რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები.

ოპოზიციის ბრალდებას უარყოფს

ლატვიის პრემიერ-მინისტრმა ვლადის ბირკავსმა მხარი დაუჭირა რუსეთთან სამხედრო საკითხებში შეთანხმებას და უარყო ოპოზიციის მიერ წამოყენებული სახელმწიფო ინტერესების ღალატის ბრალდება. როგორც ცნობილია 15 მარტს მოსკოვში რუსეთისა და ლატვიის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს ბალტიისპირეთის ამ რესპუბლიკიდან 31 აგვისტომდე რუსეთის ჯარების გამოყვანის ხელშეკრულებას. შეთანხმების თანახმად, 4 წლის მანძილზე რუსებს იჯარით ექნებათ აღებული რადარული სადგური სკრუნდეში. მაგრამ სეიმის (პარლამენტი) ოპოზიციური ფრაქციების დელეგატებმა მოითხოვეს სადგურის მუშაობის შეწყვეტა ჯარების გაყვანასთან ერთდროულად. მათ მოუწოდეს პრეზიდენტს ხელი არ მოაწეროს დოკუმენტს, ხოლო სეიმს — არ მოახდინოს მისი რატიფიკაცია. პრემიერი ბირკავსი დარწმუნებულია, რომ ასეთი მოქმედება მხოლოდ ლატვიის არაკეთილმოსურნეთ თუ აწყობთ.

პირველი ვიცე-პრემიერი სისულელედ მიიჩნევს

რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ოლეგ სოსკოვეცმა სისულელე უწოდა პრესაში გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ იგი თითქოს თანამონაწილეა შეთქმულებისა პრეზიდენტ ბორის ელცინის თანამდებობიდან გადასაყენებლად. „როსიისკაია გაზეტასთვის" ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ეს არის საზოგადოების დესტაბილიზაციის მცდელობა, მისი სიტყვით ეს იმ დროს ხდება, როცა დაისახა ეკონომიკის სტაბილიზაციის კონსტრუქციული გზები, მიღებულია სათანადო ზომები და უკვე გამოჩნდა პირველი დადებითი შედეგები. სოსკოვეცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ამჟამად საქმიანი თანამშრომლობაა დამყარებული. მოწესრიგდა ხელისუფლების ყველა შტოს ურთიერთობა. მისი აზრით ეკონომიკის სტაბილიზაციას მოჰყვება საზოგადოებაში სიტუაციის გაუმჯობესება, თუმცა გარკვეულ წრეებს ეს არ აწყობთ.

ვიზიტად მოსკოვში

ლონდონის როტშილდების საბანკო სახლის პრეზიდენტი ევე-ლინ როტშილდი აპრილის შუა რიცხვებში მოსკოვში უნდა ჩავიდეს. ცნობილი დინასტიის შთამომავალი აპირებს თავისი ოქროს მარაგი რუსეთის საქმიან ქალაქებში დაბანდოს. ამის შესახებ ცნობა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა" გამოაქვეყნა.

ეროვნული ვალუტის პირველი ნიმუში

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა პირველმა ჩაუშვა ფულის საბეჭდი მანქანა კიევში საბანკო ფაბრიკის გახსნისას, სადაც დაიბეჭდა უკრაინის ვალუტის — გრივნის პირველი ნიმუში. პრეზიდენტმა თქვა, რომ საკუთარი ვალუტის გარეშე არავითარ სუვერენიტეტზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამასთანავე კრავჩუკს მიაჩნია, რომ ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი გრივნის მიმოქცევაში გაშვებაზე, ეს დამოკიდებული იქნება სტაბილიზაციის ფონზე და ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობაზე.

დაბრუნდნენ ყაზახეთში

გასულ წელს გაეროსთან არსებული ლტოლვილების საკითხთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს ხელშეწყობით 4300 ყაზახი დეპორტირებულ იქნა ირანიდან და თურქეთიდან ყაზახეთში. თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს იმ ყაზახების შთამომავლებმა, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დატოვეს რუსეთი. რეპატრიაცია ტარდება ყაზახეთის მთავრობის ხარჯით.

პირველად საქართველოში
საქციო უნივერსალური ბანკი
«იბერიაბანკი»
"NATIONAL WESTMINSTER BANK"-ის
კვიპროსის ფილიალის მონაწილეობით გთავაზობთ
ახალი სახის მომსახურების ფორმებს:

1. პირველად საქართველოში იურიდიულ და კერძო პირებს ეძლევათ შესაძლებლობა გახდნენ VISA INTERNATIONAL და AMERICAN EXPRESS, აგრეთვე AMERICAN EXPRESS GOLD-ის საკრედიტო და სადებეტო ბარათების მფლობელები, რაც გაამყარებს თქვენს პრესტიჟს და მოგიხსნით ნაღდ ფულთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

2. ანგარიშის გახსნას, როგორც კომპანიის ასევე კერძო პირის სახელზე იმ ქვეყანაში ჩაუსვლელად.

3. ოფშორული ტიპის კომპანიების გახსნას კვიპროსზე და სხვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ოფისით, ადვოკატით და ყველა სახის აღჭურვილობით.

4. „იბერიაბანკს" შეუძლია გაგიწიოთ შუამდგომლობა უცხოელი პარტნიორებისაგან დავალიანებათა დაბრუნებაში.

ყველა ამ სახის მომსახურეობის გარანტს წარმოადგენს „იბერიაბანკის" ავტორიტეტი საქართველოს საბანკო სისტემაში და „NATIONAL WESTMINSTER BANK"-ის სახელი მსოფლიოში.

P.S. საქციო უნივერსალური ბანკი „იბერიაბანკი" შეყვანილია მსოფლიო ბანკების ალმანახის 1994 წლის გამოცემაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
„იბერიაბანკი", ჭავჭავაძის გამზირი №80, თბილისი, ტელ: 98-70-50.

ინფორმაცია

„ივერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს მწვანეთა პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ხაკაშვილმა „ივერიას" კორესპონდენტს განუცხადა, რომ საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო განსაკუთრებით გამწვავდა ისედაც მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა. ეკოლოგიურ პრიორიტეტებს შორის უნდა გამოიყოს ხის ჭრის პრობლემა. ამიტომაც საჭიროა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასწრაფოდ დაიწყოს ხის რგვის ფართომასშტაბიანი აქციები.

საქართველოს მწვანეთა ინიციატივითა და ორგანიზებით, ა. წ. 26-27 მარტს დაიწყება ხის რგვის აქცია, რომელიც კვლავაც გაგრძელდება. ნერგავებს აქციისათვის იძლევა საქართველო-იტალიის ერთობლივი საწარმო „ამირანი". თბილისის სკოლებს ნერგავებს უსასყიდლოდ აძლევს ერთ-ერთი თბილისელი მექალაქე.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტმა ანზორ ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ფქვილით დატვირთული რამდენიმე გემი უკვე შესულია ფოთის პორტში. იგი შესყიდულია ევროგაერთიანების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტით. მთლიანად კი შემოიტანება 210.000 ტონა. მარცვლეულის [illegible] საქართველოში შემოტანა, რაც პურით რესპუბლიკის მოსახლეობის შეუფერხებლად მომარაგების საშუალებას იძლევა.

თბილისი. დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები სამხედრო სამსახურს ნებაყოფლობით გაივლიან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სასაზღვრო ნაწილებში. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს რუსეთის სასაზღვრო ჯარების ფუნქციონირების პირობებისა და სტატუსის შესახებ, რომელიც დაიდო პრეზიდენტ ბ. ელცინის ვიზიტის დროს თბილისში და ითვალისწინებს საერთო ძალებით საზღვრების დაცვას თურქეთის რესპუბლიკასთან.

„ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, — აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალმა ვალერიან ჩხეიძემ, — გამოიხატება აგრეთვე იმაშიც, რომ იგი უფლებას მოგვცემს ფედერაციის აქტიური დახმარებით ეტაპობრივად ჩამოვაყალიბოთ საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარები".

მოწონებით ხვდებიან

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების, კერძოდ, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლო ხანს განხორციელებულ ღონისძიებებს პოზიტიურ შეფასებას აძლევენ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები და საქმიანი წრეები.

საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პეტრე ჩხეიძემ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას აცნობა, რომ ბოლო პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანოებში გამართული შეხვედრებისას აღნიშნავენ საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შედეგიანობის ზრდას და წესრიგის დამყარების პერსპექტივას. მიღწეულ პროგრესს უკავშირებენ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა აქტიურ და მიზანმიმართულ მუშაობას.

ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან წესრიგის დამყარება განიხილება, როგორც აუცილებელი პირობა ინვესტიციების მოზიდვისა და საზღვარგარეთთან საქმიანი ურთიერთობის გაფართოებისათვის, რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი — საქინფორმი.

ეს ჩვენი ისტორიაა!

რწმენის დაბრუნება

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მიზნად დაისახა ივერიის უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაც.

1788 წლის 29 ოქტომბრიდან აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო ანტონ II. იგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალი გახლდათ და ნაკლებად გაუწევდა ანგარიშს ალექსანდრე I-ის ნებას საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ. უფრო მეტიც, ანტონ II დამოუკიდებლობაწართმეულ, მოტყუებულ ქართველობაში რწმენასა და სამშობლოს თავისუფლების აღდგენის სურვილს აღვიძებდა. ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელთა უმრავლესობა საპატიო „მიპატიჟებით" რუსეთის ქალაქებში მიმოფანტეს. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II გრძნობდა მიახლოებულ საშიშროებას, მაგრამ ამას ცუდად ხედავდნენ სულმოკლე ქართველი მღვდელთმთავრები. ანტონ II-ზე განაწყენებული იყო ტფილელი მიტროპოლიტი არსენი (ბაგრატიონი). იგი იესე მეფის შთამომავალი გახლდათ და დინასტიური შუღლით დაბრმავებული იმ დროს უპირისპირდებოდა კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს, როცა ქართული ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. კათედრიდან გადაყენების გამო არსენმა საჩივარი აღძრა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თან ანტონ II-ის სახელზე. რუსეთის მთავრობამაც არ დააყოვნა, დანიშნა კომისია ქართული ეკლესიის საქმეების გამოსაძიებლად და ანტონ II რუსეთში გაიწვია.

1810 წლის 3 ნოემბერს ანტონ II-მ უკანასკნელი წირვა და პარაკლისი გადაიხადა და გამოეთხოვა საქართველოს. 1811 წლიდან ქართული ეკლესია რუს ეგზარქოსებს დაუქვემდებარეს. პირველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი რუსული ორიენტაციის კაცი იყო. რუსეთის სინოდის მოხელეებმა ფეხქვეშ გათელეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის კანონები, მოსპეს 25 ეპარქია; ეგზარქოსებმა საეკლესიო მამულები ხაზინას გადასცეს, ეკლესიები გაძარცვეს. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი დოსითეოს ქუთათელი წამებით მოკლეს, ხოლო ექვთიმე გენათელი საქართველოდან გადაასახლეს.

თერგდალეულები, რომელთაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშაააფრიალეს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ამ მიზნით მათ გვერდით ამოიყენეს ქართველი სასულიერო წოდების საუკეთესო წარმომადგენლები, ეპისკოპოსები: გაბრიელი, ალექსანდრე, კირიონი, ლეონიდე, ანტონი, დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი და სხვები. ესენი მრავალრიცხოვან წერილებსა და გამოკვლევებში ავითარებდნენ იმ აზრს, რომ აუცილებელი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ რუსეთის მთავრობას არანაირი არგუმენტაციის გაგონება არ სურდა და ათასგვარ მაქინაციას მიმართავდა.

ქართველმა სამღვდელოებამ, ისარგებლა რა რუსეთში შექმნილი რთული, წინააღმდეგობრივი მდგომარეობით, რაც ნიკოლოზ II-ის ტახტიდან ჩამოგდებას მოჰყვა, ჯერ თავშეკავებულად თქვა: — „მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში კვირას, 12 მარტს, დანიშნულია საყოველთაო პარაკლისი სრულიად რუსეთის ახალი მთავრობის განმტკიცებისათვის", წირვისა და სავედრებელი პარაკლისის შემდეგ კი ოფიციალურად განაცხადა: „გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარი ძირითადი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება, მისი საყოველთაო სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღიარება, ერთსულოვნად დავადგინეთ, საჭიროდ განვაგრძოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა, ხოლო ვიდრე სრულ ნიადაგზე მოეწყობოდეს საქართველოს ეკლესიის კათალიკოზის არჩევა, დროებით დაინიშნოს კათალიკოზის ადგილის აღმასრულებლად საქართველოს ეკლესიის გამგედ სამღვდელო და საერო პირთაგან შემდგარი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი გურია-ოდიშის ეპისკოპოსის ლეონიდეს თავმჯდომარეობით".

1917 წლის 12(25) მარტს მცხეთაში წირვას დაესწრნენ და დოკუმენტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ ხელი მოაწერეს ეპისკოპოსებმა: ლეონიდე ოქროპირიძემ, გიორგი ალადაშვილმა, ანტონ გიორგაძემ, პიროს ოქროპირიძემ, „მრავალჟამიერი" უგალობეს საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის წამებულ, გადასახლებაში მყოფ ეპისკოპოსებს: კირიონს, დავითს, არქიმანდრიტ ამბროსის.

ეგზარქოსყოფილი პლატონი კი ერთი ეპისკოპოსის მონაწილეობით მართავდა სხდომებს, არ თმობდა საეგზარქოსო სასახლეს, აყალიბებდა იმ აზრს, რომ ქართველებს ეროვნული ავტოკეფალია ეკუთვნითო. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ეპისკოპოს კირიონს შესთავაზა პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტობა, რათა დაესუსტებინა ავტოკეფალიის მომხრეთა პოზიციები, მაგრამ უარი მიიღო. 1917 წლის აპრილში კირიონი საქართველოში დაბრუნდა დარიალის გზით, მას 120 ცხენოსნის საპატიო ესკორტით შემოუძღვა გიგო ყარანგოზაშვილი. ეპისკოპოსმა კირიონმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შემუშავებაში.

1917 წლის ივლისში ეროვნული დემოკრატების ინიციატივით ეგზარქოსის სასახლეში შეიჭრა რაზმი, რომელსაც დავით ვაჩნაძე ხელმძღვანელობდა. იქიდან გამოაძევა რუსი მოხელეები და სამუშაო ოთახები გაუთავისუფლა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრეს.

1917 წლის ივლის-აგვისტოში ქართველმა სამღვდელოებამ კატეგორიულად უარყო დროებითი მთავრობის სურვილი ქართული ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიის შესახებ და გამოაცხადა ტერიტორიული ავტოკეფალია. დაადგინეს დიდი საეკლესიო კრების ჩატარების დრო (9-17 სექტემბერი) და ეპარქიების რაოდენობა (13). შეიქმნა საკათალიკოსო საბჭო, რომელშიც შევიდა 15 კაცი, აქედან ორი უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსი. ჩატარდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. მონაწილეობდა 448 დელეგატი. 11 ხმით უპირატესობა მოიპოვა ეპისკოპოსმა კირიონმა. თანახმად არჩევნების შედეგებისა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა დიდი ქართველი მეცნიერი და მღვდელთმთავარი კირიონ II (საძაგლიშვილი). ქართული ეკლესიის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ერა განახლებისა და ეროვნული იდეალების მსახურებისა.

სერგო ვარდოსანიძე.

სურათზე: ეპისკოპოსი — შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი **კირიონ II** (მარჯვნივ) და ეპისკოპოსი — შემდგომში კათალიკოს პატრიარქი **ლეონიდე.** გადაღებულია 1906 წელს პეტერბურგში, სადაც რუსეთის სინოდის სხდომაზე განიხილებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

ვითხოვ სიტყვას!

მივხედოთ „სანთელს!"

მსურს ჩვენი საზოგადოებისა და მთავრობის ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს წითელ ჯვართან არსებულ სამაშველო სამსახურზე — „სანთელზე".

თვალ-ყურს ვადევნებდი ხსენებული სამსახურის წევრთა საქმიანობას უკანასკნელი წლების მანძილზე, შევისწავლე მათი მდგომარეობა და პრობლემები — და გადაუდებელ საქმედ მივიჩნიე საჯაროდ გამომეთქვა ჩემი აზრი.

ბოლო დროს საქართველოში შექმნილი უამრავი ორგანიზაციიდან თუ კავშირიდან, ცოტამ თუ გაამართლა ასე თავისი სახელწოდება, დანიშნულება და ის იმედები, რაც ხალხმა მასზე დაამყარა. დღეს ჩვენს ირგვლივ გამეფებულ მორალურ ანარქიაში, იმ სიბნელეში, რაც უზნეობის არნახულმა აზვირთებამ წარმოქმნა — მაშველი სამსახური „სანთელი" მართლაც რომ სულიერ ნათლად მოგვევლინა. მისმა წევრებმა: პროფესიონალმა ალპინისტებმა, ექიმებმა, უბრალოდ, ფიზიკურად და სულიერად ძლიერმა ადამიანებმა გვაჩვენეს უანგარობის, მოყვასისადმი თავგანწირული სიყვარულის ამაღლებელი მაგალითი, რომელიც დღეს ასე სჭირდება ჩვენს სასოწარკვეთილ საზოგადოებას.

ხსენებული სამსახურის წევრები ჯერ კიდევ სპიტაკის მიწისძვრის დროს (როცა ეს სამსახური ოფიციალურად ჯერ არ არსებობდა), დაუყოვნებლივ გაეშურნენ უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანების, ჩვენი მოძმე ხალხის დასახმარებლად. შემდეგ ერთმანეთს მიჰყვა მიწისძვრა დასავლეთ საქართველოში, ომის შედეგად აფხაზეთიდან დევნილ ადამიანთა უზარმაზარი ნაკადები, რომლებიც სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ თოვლსა და ყინვაში, მთებსა და ტყეებში. და სწორედ „სანთელი"-ს წევრთა დიდი დამსახურებაა, რომ ათასობით ადამიანი ცოცხალი გადარჩა და სამშვიდობოს გამოაღწია. როგორც მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, ამ თავდადებულ ადამიანებს ჯეროვანი ხელშეწყობა რომ ჰქონოდათ და მთავრობას დროზე მოეხერხებინა მათი გადაყვანა უბედურების ზონაში, მაშინ ის მსხვერპლიც (500-მდე ადამიანის სიკვდილი სვანეთის მთებში) თავიდან აცილებული იქნებოდა.

ახლაც, გალიდან ქართველი მოსახლეობის გამოძევებისას, — „სანთლის" წევრთა ჩასვლამდე გაიყინა 9 ადამიანი, მათი ჩასვლის შემდეგ კი მსხვერპლი აღარ ყოფილა.

სამაშველო სამსახური „სანთელი" ფაქტობრივად შიშველი ენთუზიაზმით მოქმედებს. მათი ყოველთვიური ანაზღაურება სასაცილოა (70 ათასი კუპონი). მათ არ გააჩნიათ ელემენტარული ტექნიკური ბაზა, სათანადო ჩაცმულობა, მედიკამენტებისა და შესაბამისი საკვების მარაგი, რაც საჭიროა უბედურების ზონაში მოხვედრილთათვის.

„სანთლის" წევრები უბედურების ზონაში გასვლისას, შეიძლება ითქვას, რაც მოჰყვებათ იმას იცვამენ (ხშირად ნათხოვარ „ბატინკებსა" და ქურთუკებს). ხშირად ისინი თავიანთ სამოსსაც ლტოლვილებს უთმობენ და უკანასკნელ ლუკმასაც მათ უნაწილებენ, მათთან ერთად იტანენ სიცივესა და შიმშილს, მათთან ერთად სწყდებიან დანარჩენ სამყაროს. ის უზარმაზარი ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვა, რაც ამ ადამიანებს აწევთ, ასეთ პირობებში თვით მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უქმნის დიდ საფრთხეს: უსახსროდ და უმწეოდ დარჩნენ „სანთლის" წევრის, 1993 წლის ოქტომბერში, სვანეთის მთებში ტრაგიკულად დაღუპული დათო ხუციშვილის შვილები.

დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის დროს ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული საერთაშორისო წითელი ჯვრის საუკეთესოდ ჩაცმულ-აღჭურვილი წევრები განცვიფრებულნი და აღტაცებულნი იყვნენ ჩაუცმელ-დაუხურავი, ლამის შიშველი ხელებით მოქმედი „სანთლის" წევრთა თავდადების შემხედვარე. მათ ერთ-ერთ მათგანს, ცნობილ ალპინისტსა და მეცნიერს ზაალ ქიქოძეს, რომელიც შვეულმფრენიდან დაეშვა და გაჩერებულ საბაგირო გონდოლაში დღე-ღამის განმავლობაში გამომწყვდეული ორი ადამიანი გადაარჩინა (ისინი შვეულმფრენზე აიყვანა) ჯილდოდ წითელი ჯვრის დროშა გადასცეს.

ჩვენ კი? რითი ვეხმარებით მათ? განა ჟურნალისტთა ფრაგმენტული დაინტერესება უშველის საქმეს?

მსურს მადლობა და თანადგომა გამოვუცხადო სამაშველო სამსახურს „სანთელს" და დაბეჯითებით მივმართო საქართველოს მთავრობას:

საქართველო, — აქტიური მიწისძვრების, საგანგაშოდ დარღვეული ეკოლოგიური ბალანსისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ზონა, — ნაკლებად არის დაზღვეული შემდგომი სტიქიური თუ პოლიტიკური უბედურებებისაგან. ოფიციალური სტრუქტურების მოშლილობა და უმართაობა მოსალოდნელ ტრაგიკულ შემთხვევებში ადამიანთა გადარჩენის დიდ გარანტიას არ იძლევა.

გთხოვთ ყურადღებით შეისწავლოთ სამაშველო სამსახურის — „სანთლის" ყველა პრობლემა და აღმოუჩინოთ მას დახმარება. „სანთლის" წევრთათვის ხელის შეწყობა ეს უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს.

როდემდე შეიძლება ვიდგეთ სრულიად მოუმზადებელი მოსალოდნელ უბედურებათა წინაშე? როდემდე უნდა გაგრძელდეს ჩვენი სახელდახელო, უსისტემო და ინსტინქტური რეაქცია ტრაგიკულ მოვლენებზე?

აგრეთვე მსურს მივმართო იმ ფირმებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც დახმარების გაწევა შეუძლიათ, დაეხმარეთ „სანთელს"! შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ: თქვენს მიერ გაწეული დახმარება ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას მოხმარდება.

სამაშველო სამსახურის „სანთლის" მისამართია: ხრამჰესის, № 1, ტელეფონი 96-15-38 ან 96-15-34 ანგ. ჩუღურეთის რაიონის ბინსოცბანკი 085120919.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის — „კავკასიური სახლის" სახელით.

ნაირა გელაშვილი.
მწერალი.

ეროვნულ სულს განამტკიცებს

თბილისში 1993 წელს ჩამოყალიბდა ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „ხრიდოლი", რომლის პრეზიდენტია ლევან კიკალეიშვილი, ფედერაციის მმართველ სტრუქტურაში კი შედიან ნ. ლურსმანაშვილი, ლ. მინჯავიძე, რ. ხვედელიძე, მ. ფოლადაშვილი, ნ. ჯაფოშვილი, კ. ზარნაძე. მათი მთავარი მიზანია ქართველ ახალგაზრდობაში ეროვნული სულისა და ზნე-ჩვეულებების განმტკიცება და პოპულარიზაცია.

აი, რას მოგვითხრობს **ლევან კიკალეიშვილი:**

— სანამ საქმის ვითარებას გაგაცნობდეთ, გავიხსენებ ცოტაოდენ ისტორიას, საიდანაც ჩანს, რომ ქართველთა მხნეობას და ფიზიკურ გამძლეობას სამშობლო დაღუპვისაგან არაერთხელ გადაურჩენია. მაგალითისათვის მარტო სტრაბონის, ქსენოფონტესა თუ ტაციტუსის ჩანაწერები რად ღირს. „ეს იყო უმამაცესი ხალხი ყველა იმათ შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავისი ლაშქრობის დროს" (ქსენოფონტე 431-354 წ. ძ. წ.). არავის არ უნდა ეეჭვებოდეს, რომ ასეთი თვისებები იბერიელებმა მუდმივი ვარჯიშითა და წრთობით შეიძინეს. ქართველებს ჰქონდათ მთელი სისტემა — „კაი ყმის აღზრდის ინსტიტუტი", რომლის მოშლის შედეგად ახალგაზრდობამ დაკარგა თავისი ვაჟკაცობისა და მამულიშვილობის სახალხოდ წარმოჩენის ასპარეზი.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა მტრებმა მცირერიცხოვან ქართველებს მშობლიურ ენაზე მეტყველებაც კი აუკრძალეს, კრივსა და ფარიკაობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ქართულმა ცნობიერებამ დიდი ტრანსფორმაცია განიცადა და შემდეგ თავისი სულის სისხარტის გამოსავლენად ვერც ევროპული და ვერც ახლად მოვლენილი აღმოსავლური სისტემები ვერ მოირგო. ხოლო მიზეზი ამისა, ვგონებ, ის არის, რომ ყოველი სისტემის უკან დგას იმ ერის სულიერი თუ ფიზიკური განცდები, რომლებიც მოცემულ სკოლაში ვლინდება წეს-ჩვეულებებისა და აუცილებელი რიტუალების სახით, რაც თავისთავად კიდევ უფრო ასახიჩრებს ისედაც დაკნინებულ ქართულ ცნობიერებას. ვერცერთი ქართველი, და არა მარტო ქართველი, ვერ იქნება ძიუდოისტი ან კარატისტი, თუ არ ეზიარა ძიუდოს პრინციპებს, ე. ი. ბუდიზმს ან ჩანბუდიზმს. ნაწილობრივ იგივე შეიძლება ითქვას ფრანგული ჭიდაობის ან ინგლისური კრივის შესახებ. თუმცა, ქართველი ყოველგვარ სისტემაში ავლენდა თავისთავადობას და თუკი ჭიდაობა იყო ქართული, მის ბაზაზე წარმატებების მიღწევასაც ახერხებდა.

მრავალფეროვან სამკურნალო მეთოდებზე არ შევჩერდებით. მარტო ხევსურეთში დადასტურებული თავის ქალის ტრეპანაციის ფაქტები რად ღირს. არაფერს ვამბობ ტრავმატოლოგიის სფეროში მიღწეულ შედეგებზე, ფიტოთერაპიაზე. საერთოდ იბერები ხომ ცნობილი იყვნენ თავიანთი დასტაქრებით, ანდა: საბრძოლო თამაშობებით, რითაც მცირეწლოვანთა მოზიდვა და გაჯანსაღება ხდებოდა. მარტო ქართული დახუჭობანას (დამალობანა) 7 ნაირსახეობა მოვიძიეთ. აგრეთვე იყო თხილაობა, კოჭაობა, კაკლობანა, კომბლაობა, ლახტი და სხვ. შორს წაგვიყვანს კუთხური საბრძოლო სისტემების ჩამოთვლა.

რადგან ჩვენი მსჯელობის საგანი კრივია, დავუბრუნდეთ მას. აი, რას სწერს სულხან-საბა ლექსიკონში კრივის შესახებ: „მუჯი ეწოდების რა მაგრად ხელთა თითნი შეიკუმშო და უკეთუ კაცსა ცერთა კერძო სცე, ეწოდების მუშტი, უკეთუ ნეკის მხარეს დაჰკრა, ეწოდების მჯიღი". ამრიგად, სიტყვა კრივის დამკვიდრებამდე ქართულში მას ეწოდებოდა „მუშტის ცემა", „მჯიღის ცემა", „მუჯრჯანა" (საბა, ნ. ჩუბინაშვილი, ყარამანიანი, ბახთიარ-ნამე).

ყველაფერ ამის უკან დგას ათასწლიანი ისტორია თავისი რიტუალებით, წეს-ჩვეულებებით, გალობებით, ცეკვებითა და ხალხური მელექსეობით... ქსენოფონტე წერს, რომ ქართველები ცეკვა-ცეკვით უახლოვდებოდნენ მტრის მწყობრს და ბრძოლაზე მხოლოდ მაშინ გადადიოდნენ, როცა პირველი რიგები შეეჯახებოდა მოწინააღმდეგეს. „მიდიოდნენ წინ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ, იმ დროს, როცა მტრებს შეეძლოთ მათი დანახვა". აქედან გამომდინარე, ნამდვილი ვაჟკაცი, როგორც მკლავმაგარი, ისე გონებაგამჭრიახი და ენამოსწრებული უნდა ყოფილიყო. ასე რომ, საწვრთნელ მეთოდებს თავისი სანახაობრივი სახის გარდა აღმზრდელობითი, სამკურნალო და პატრიოტული დატვირთვაც ჰქონდა, მაგრამ გარკვეულმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა მიზეზებმა მოშალა ყოველივე ეს, რაც თავის მხრივ, სავალალო შედეგებით მოგვიბრუნდა და მივიღეთ უნებისყოფო, გაუტეხელი თაობა. აქედან ის სოციალური ტრაგედიაც, რაც მორფინიზმით, თუ ძარცვა-ყაჩაღობით, პატრიოტიზმის არასწორი გაგებით, ახალგაზრდობის დემორალიზაციით მოგვიბრუნდა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საბოლოოდ გვაძლევს ერის დაღუპვის სურათს. არ შემიძლია ყურადღება არ შევაჩერო ყველაზე დიდ საშინელებაზე, ნერვული სტრესებისა და მორფინიზმის საყოველთაო მხლებელზე — იმპოტენციაზე. ქართველებს ხომ ჯერ კიდევ წარმართული ხანიდან ჰქონდათ იმპოტენციის საუცხოო სამკურნალო ცეკვები და როკვები (როკვა არის გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში შესასვლელი სპეციალური ვარჯიში, იმისათვის, რომ გამოვლინდეს ადამიანის ფარული შესაძლებლობები) ისეთი, როგორიც არის ადრეკილაი, ფერხისა, ამირანიანი და ა. შ. სადაც სხეულის აქტიურ ზონებზე ზემოქმედებით ხდება კაცობის გაძლიერება და ერის სიმრავლის გამტკიცება.



შორენა ჩოხელი,
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

• • •

სურათზე: ერთ-ერთი ფრაგმენტი „ხრიდოლის" მრავალრიცხოვანი ილეთებიდან.

სპორტი

ფეხბურთი

მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის წინ ამ ფორუმის ფინალისტები უკანასკნელ საწვრთნელ მატჩებს მართავენ. გთავაზობთ ზოგიერთი გუშინწინდელი ამხანაგური შეხვედრის შედეგს:

ბრაზილია — არგენტინა 2:0;
გერმანია — იტალია 2:1;
ესპანეთი — ხორვატია 0:2;
ირლანდია — რუსეთი 0:0.

დღეს საქართველოს სტადიონებზე გაიმართება ეროვნული თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: თბილისის „შევარდენი-1906" — ფოთის „კოლხეთი-1913" (თამაში დედაქალაქის საავიაციო ქარხნის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება), ლანჩხუთის „გურია" — „ბათუმი" და რუსთავის „მეტალურგი" — თბილისის „თეთრი არწივი". თბილისის „დინამოსა" და წყალტუბოს „სამგურალის" ამავე ეტაპის ორთაბრძოლა ხვალისთვისაა გადატანილი.

ნახევარფინალისტები 6 აპრილს გამოვლინდებიან, როცა მეტოქენი განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩი ერთდროულად დაიწყება: აპრილში — 16 საათზე, მაისში — 17 საათზე და ივნისში — 18 საათზე.

კალათბურთი

ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტურის გუშინდელ მატჩებში ფავორიტებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს:

„თორსი" — „შევარდენი" — 102:78 (დავით თორთლაძემ „თორსს" 64 ქულა შესძინა);
„ვეთა" — „აზოტი" — 118:81.

ხსოვნა

ქეთევან კილაძე

ლანჩხუთის რაიონის საზოგადოებას ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან ფილიპეს ასული კილაძე.

ქეთევან კილაძე დაიბადა სოფელ მამათში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო მამათის კოლმეურნეობაში. მეჩაის მძიმე, მაგრამ საპატიო შრომამ მოუტანა ქალბატონ ქეთევანს საყოველთაო აღიარება.

1949 წელს ქალბატონი ქეთევანი დაოჯახდა და სამუშაოდ დაბა ლანჩხუთის კოლმეურნეობაში გადავიდა. აქაც კვლავ სამაგალითო იყო შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ერთ-ერთი პირველი ეხმიანებოდა სიახლეებს სოფლის მეურნეობაში, ერთ-ერთი პირველი ნერგავდა მათ და ამით თავისი წვლილი შეჰქონდა მეჩაიეობის, როგორც დარგის განვითარებაში. მისი ღვაწლი აღნიშნულია მრავალი მედლით, საპატიო სიგელებით, მადლობებითა და ჯილდოებით.

ქალბატონ ქეთევანს შეეძლო კიდევ მოეტანა სარგებლობა თავისი ოჯახისთვის, საზოგადოებისთვის, მაგრამ შრომით დაღლილს ნაადრევად შემოაკლდა. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

მეგობრების ჯგუფი.

გიორგი ქობულაშვილი

გარდაიცვალა „კავკასელექტროქსელმშენის" № 8 მექანიზებული კოლონის ყოფილი უფროსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი — **გიორგი ალექსანდრეს ძე ქობულაშვილი.**

გ. ქობულაშვილი დაიბადა 1908 წელს. 1934 წელს დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის ინსტიტუტი, მუშაობდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, „კავკასელექტროქსელმშენის" სისტემაში. დიდხანს იყო № 8 მექანიზებული კოლონის უფროსი, ხოლო 1991 წლამდე — ტრესტის აპარატის მუშაკი.

მთელი ამ ხნის მანძილზე გ. ქობულაშვილი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ელექტროქსელების მშენებლობას საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიასა და სხვა რეგიონებში. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ახლობლებისა და თანამოღვაწეთა გულებში.

„კავკასელექტროქსელმშენის" კოლექტივი.

შალვა ნაცვლიშვილი



ქართველ მშენებელთა რიგებს 90 წლის ასაკში გამოაკლდა ომისა და შრომის ვეტერანი, ცნობილი ინჟინერ-კონსტრუქტორი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი, პერსონალური პენსიონერი **შალვა ონისიმეს ძე ნაცვლიშვილი.**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 65 წლის მანძილზე ბატონმა შალვამ შრომითი მოღვაწეობის საკმაოდ რთული გზა განვლო. სამშენებლო, საპროექტო და სასწავლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობისას იგი ყოველთვის ავლენდა მაღალ პროფესიონალიზმსა და საქმის ღრმა ცოდნას. მისი უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და აიგო რესპუბლიკის მრავალი ნაგებობა, მათ შორის საკმარისია აღინიშნოს მთავრობის სასახლე, რომლის პროექტიც დამუშავდა საპროექტო ბიუროში, რომელსაც ბატონი შალვა ხელმძღვანელობდა.

დიდია ბატონი შალვა ნაცვლიშვილის როლი რესპუბლიკის მშენებელთა და არქიტექტორთა კადრების აღზრდის საქმეში. 1932 წლიდან მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1965 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში საინჟინრო კათედრის დოცენტად.

მსუბუქი იყოს, ბატონო შალვა, თქვენთვის საქართველოს მშობლიური მიწა, სადაც უკვე განისვენებს ყველასათვის საყვარელი ადამიანი და მოქალაქე, თქვენი ძვირფასი ვაჟიშვილი თემო ნაცვლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლიანა ეზიკაშვილი-უგრეხელიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ბატონ მინდია უგრეხელიძეს დედის

ლიანა სიმონის ასულ ეზიკაშვილ-უგრეხელიძის

გარდაცვალების გამო.

სატყეო მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სატყეო მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიძინა გაბრიელის ძე გულისაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფირმებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირთა საყურადღებოდ
იყიდება: გერმანული წარმოების (ფირმა "SIEMENS") ტელეფონის აპარატები; ზელენოგრადის წარმოების (იტალიური ლიცენზიით) მსუბუქი ავტომანქანის თხევად გაზზე გადამყვანი აპარატურის სრული კომპლექტები.
ფასები საბაზროსთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.
დაგვიკავშირდით 11-დან 15 სთ.-მდე ☎ 38-61-74.

ფირმა «სალომე»
გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:
1. პოლონეთი ქ.ვარშავა (ფასი: 185000 მანეთი, 125 დოლარი, 200000 კუპონი). გასვლა 29 მარტს, 5,12,19,26 აპრილს.
2. ავსტრია ქ. ვენა, მანქანის ჩამოყვანით (ფასი: 185000 მანეთი, 345 დოლარი, 200000 კუპონი) გასვლა 12,19,26 აპრილს. საბუთები წინასწარ.
თბილისი უზნაძის ქ. № 89 (ყოფილი კამოს ქ.)
ველო-სტადიონის ტერიტორია,
ტელეფონი: 95-90-09 ან 67-17-71

იყიდება ჩეხური წარმოების არაყი
"SUVOROV"
1 ლიტრიან ბოთლებში, კუპონებზე,
2,5 დოლარის შესაბამისი კურსით.
დამატებითი ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით ტელ: 23-00-21.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.